# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 31 აგვისტო, 2012 წელი.

№166 (7042)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


# პირველ ოქტომბერს საპარლამენტო არჩევნებზე ქვეყნის ბედი წყდება!..

**ამ წერილით უნდა მივმართო დემოკრატიულ სამყაროს. საქართველოში პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე ქვეყნის ბედი წყდება და თქვენზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული, როგორი იქნება ეს არჩევნები — ქვეყანა საბოლოოდ დაადგება დემოკრატიული განვითარების გზას, თუ გაგრძელდება ბრძოლა ავტორიტარიზმსა და პოსტკომუნიზმთან.**

პოლიტიკაში იმიტომ მოვედი, რომ ვხედავდი, როგორ ილუპებოდა ქვეყანა და ჩემს მოვალეობად მიმაჩნდა, ყველაფერი მექნა მის გადასარჩენად. სააკაშვილის რეჟიმმა ბოლო წლების განმავლობაში უამრავი ზიანი მიაყენა ჩემს სამშობლოს: გაუგონარი ძალადობა განახორციელა ბიზნესზე და თითქმის სრულიად დაიქვემდებარა იგი, ნორმად აქცია დემონსტრაციების დარბევა, ადამიანების უფლებების შელახვა, უკიდურესად გამარტივდა ადამიანის საპატიმრო ადგილებში გამომწყვდევა და საპროცესო გარიგებით გამოშვება, ხალხი გალატაკებული, დაშინებული და შეურაცხყოფილია, შეზღუდულია თავისუფალი სიტყვა, პროპაგანდის იარაღადაა ქცეული ხელისუფლების მიერ კონტროლირებული მედია, სიცრუის ქსელში ჩართულმა ფსევდოოპოზიციურმა პოლიტიკოსებმა, პარტიებმა და საინფორმაციო საშუალებებმა ისეთი გარემო შექმნეს, რომ ხალხს უნდობლობა გაუჩინეს პოლიტიკისა და არჩევნების მიმართ.

აუცილებელი ცვლილებების, სამართლიანობის აღდგენისა და ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის გადავწყვიტე პოლიტიკაში მოსვლა. 2011 წლის ოქტომბრიდან დღემდე, მე მოვახერხე აქამდე დაქსაქსული და დასუსტებული ჯანსაღი ოპოზიციური ძალების გაერთიანება და ჩვენი კოალიციის პოლიტიკურ დღის წესრიგად შემდეგი პრიორიტეტები გამოვაცხადე: კონსტიტუციის პატივისცემა, ელიტარული კორუფციის აღმოფხვრა, დამოუკიდებელი სასამართლოს დამკვიდრება, მედიის თავისუფლება, ადამიანის უფლებების დაცვა, სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეინტეგრაციის პერსპექტივის გაჩენა, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება, რუსეთთან ურთიერთობის დალაგება, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია, აშშ-სთან სტრატეგიული პარტნიორობის გაღრმავება. ეს არის ჩემი სამოქმედო გეგმა და პროგრამა, რომლის რეალურობა ხალხმა ირწმუნა ჩემდამი მაღალი ნდობისა და ჩემი ავტორიტეტის გამო.

მაგრამ ხალხთან ერთად სააკაშვილიც მაშინვე მიხვდა, რომ ჩემი გამოჩენით მისი გეგმები თავდაყირა დადგა — ხელისუფლებაში უვადოდ დარჩენისთვის მოსუფთავებულ გზაზე გადაულახავი დაბრკოლება შეექმნა.

ამიტომ სააკაშვილმა ჩემი პოლიტიკაში მოსვლის პირველი დღიდან სრულიად აშკარად დაიწყო, ერთი მხრივ, ჩემი, როგორც პოლიტიკური ოპონენტისა და მოქალაქის, უპრეცედენტო დევნა და, მეორე მხრივ, საზოგადოებაში სიძულვილისა და დაპირისპირების დამკვიდრება. მან და მისმა რეჟიმმა: პოლიტიკური განაცხადის გაკეთებიდან მე-4 დღეს ჩამომართვა მოქალაქეობა და შეეცადა პოლიტიკური პროცესიდან ჩემს განდევნას, ორი კვირის თავზე დაიწყო შეტევა ჩემს კერძო საკუთრებაზე და გაიტაცა კომერციული ბანკის საინკასაციო მანქანა, იძალადა კონსტიტუციაზე, დააპატიმრა და უმუშევრად დატოვა ჩვენი მომხრეები, სპეციალურად „ქართული ოცნების" და პირადად ჩემთვის პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვის მიზნით შეიმუშავა საკანონმდებლო პაკეტი და შექმნა პოლიტიკური რეპრესიების ახალი ორგანო — პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახური, საცხოვრებელი სახლები გაუყიდა ჩვენს შემომწირველებს, დააჯარიმა და შეურაცხმყოფელი დაკითხვები მოუწყო ასობით ჩვენს წევრსა და აქტივისტს. მოსახლეობის ინფორმაციულ ვაკუუმში დასატოვებლად დააყადაღა ასობით ათასი სატელიტური თეფში, მათი გამავრცელებელი კომპანიები მილიონობით ლარით დააჯარიმა; საერთაშორისო ზეწოლის შედეგად მიღებული „მასთ ქერიც" კი, რომელსაც მხოლოდ 25%-იანი დაფარვის ზონა აქვს და სატელიტური თეფშების ალტერნატივად ვერ განიხილება, შემოიღო მხოლოდ არჩევნების დღემდე, რათა არჩევნების შედეგების შეჯამებისას მოსახლეობა კვლავ ინფორმაციულ ვაკუუმში ამყოფოს; საკანონმდებლო და ადმინისტრაციული მანიპულაციებით 190 მილიონი ლარი წაართვა და გაკოტრებამდე მიიყვანა ბანკი „ქართუ", აუქციონზე გაყიდა კოალიციის კონტრაქტორი კომპანიები, პირადად მე 130 მილიონ ლარზე მეტით დამაჯარიმა; კოალიციაში შემავალი პოლიტიკური პარტიები მილიონობით ლარით დააჯარიმა, ანგარიშებზე ინკასო დაუწესა და ფაქტობრივად მოუსპო პოლიტიკური აქტიურობის საშუალება; საარჩევნო ბლოკს „ბიძინა ივანიშვილი-ქართულ ოცნებას" შემოსავლებსა და ხარჯებში უკანონოდ ჩაუთვალა ათობით მილიონი ლარი და ამით ნიადაგი მოამზადა არჩევნების შემდეგ ბლოკის დისკვალიფიკაციისა და პარლამენტში არშეშვებისათვის; არჩევნები დანიშნა ორშაბათ დღეს, რითაც უცხოეთში მყოფ საქართველოს მოქალაქეებს მნიშვნელოვნად გაურთულა მათთვის სამუშაო დღეს არჩევნებში მონაწილეობა. როგორც მოსალოდნელი იყო, სააკაშვილის სრულ მორჩილებაში მყოფი სასამართლო ხელისუფლების „ნოტარიული დამმოწმებლის" როლში მოგვევლინა.

ყოველივე ამან ისეთი საარჩევნო გარემო შექმნა ქვეყანაში და იმდენად შეაფერხა კოალიციის საარჩევნო კამპანია, რომ უკვე შეუძლებელია სამართლიან და თავისუფალ არჩევნებზე ლაპარაკი. გამომდინარე ზემოთ თქმულიდან და ჩემი პასუხისმგებლობიდან ქართველი ხალხის წინაშე, ვალდებული ვარ, განვაცხადო, რომ თუ დღეიდან არჩევნებამდე ხელისუფლების ქმედებებში მნიშვნელოვანი ცვლილება არ მოხდება, საქართველოში ვერ შედგება თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები. ჩვენი მიზანი გაყალბებულ არჩევნებთან ბრძოლა კი არა, არჩევნებში გამარჯვებაა. ამიტომ მიუხედავად იმისა, რომ ბოლო 10 თვის განმავლობაში ჩვენს წინააღმდეგ გატარებული რეპრესიების შედეგების მთლიანად აღმოფხვრა წარმოუდგენელია, ჩვენ მაინც მზად ვართ, დღესვე მოვაწეროთ ხელი არჩევნების შედეგების აღიარების ვალდებულებას, მხოლოდ იმ პირობით, რომ დღეიდან არჩევნებამდე საარჩევნო გარემო პრინციპულად შეიცვლება და დაკმაყოფილდება შემდეგი მოთხოვნები:

**1. დაუყოვნებლივ შეჩერდეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინიცირებით გამოტანილი ყველა ჯარიმის, ყადაღისა თუ სანქციის აღსრულება, ისე, როგორც ეს მოხდა პარტიებისთვის დაკისრებული ჯარიმის ნაწილში უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაციით;**

**2. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ კოალიცია „ქართული ოცნების" შემოსავლებიდან და ხარჯებიდან ამოირიცხოს ის თანხები, რომელთა კავშირი კოალიციაში შემავალ პოლიტიკურ პარტიებთან არაფრით არ არის დადასტურებული, გარდა კონტროლის პალატის ვარაუდებისა და მხოლოდ ვარაუდების საფუძველზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებებისა;**

**3. შეიქმნას ყველა პირობა იმისათვის, რომ ემიგრაციაში მყოფმა საქართველოს მოქალაქეებმა (ამომრჩევლის 25%) მოახერხონ არჩევნებში მონაწილეობა, თუნდაც ამისათვის საჭირო გახდეს ხმის მიცემის დღის შეცვლა;**

**4. დაუყოვნებლივ მოიხსნას ყველა დაბრკოლება კერძო კომპანიების მიერ მოსახლეობაში სატელიტური თეფშების გასავრცელებლად და სახელმწიფომ ხელი შეუწყოს ამომრჩევლის ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით დაგეგმილ სხვა პროექტებს, მაგალითად, ქართველი ემიგრანტების ინიციატივას;**

**5. უწყებათაშორისი კომისიის შემადგენლობაში შეიყვანონ კოალიციის წარმომადგენელი, კომისიამ იმუშაოს ყოველდღიურ, გამჭვირვალე რეჟიმში და, სხვა საკითხებთან ერთად, დაუყოვნებლივ განიხილოს პოლიტიკური ნიშნით მოქალაქეების დევნის (დაპატიმრება, სამსახურიდან გათავისუფლება, შანტაჟი) დღემდე მომხდარი ყველა ფაქტი;**

**6. სამოქალაქო სექტორის მიერ შემოთავაზებული და კოალიციის მიერ გაზიარებული ქცევის კოდექსის დაცვის მონიტორინგისთვის შეიქმნას ქმედითი მექანიზმი საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით.**

**7. ერთადერთი ქმედითი მექანიზმი, რომელსაც სააკაშვილის რეჟიმი ჯერ კიდევ ანგარიშს უწევს, ეს არის საერთაშორისო დემოკრატიული თანამეგობრობის პოზიცია. მაგალითად, უკანასკნელ ხანს ევროსაბჭოსა და ეუთოს წარმომადგენლების მწვავე კრიტიკის შემდეგ ხელისუფლებამ ზოგიერთ საკითხში უკან დაიხია (მოხსნა ინკასო პარტიების ანგარიშებიდან, კოალიციის ცენტრალური ოფისიდან გაიყვანა უკანონოდ შემოჭრილი პირები, გადაავადა ზოგიერთი ჯარიმის აღსრულება).**

არც ერთი ჩვენი მოთხოვნა არ საჭიროებს კონსტიტუციის შეცვლას, არც ერთის შესრულებას არ სჭირდება დიდი დრო. ყველაფრის მიღწევა შეიძლება, თუ იქნება თქვენი ნება, მიუთითოთ სააკაშვილს და მკაცრად მოსთხოვოთ, შეწყვიტოს საკუთარ ხალხზე ძალადობა და საარჩევნო გარემო ოდნავ მაინც მიუახლოოს საერთაშორისო სტანდარტებს.

**ჩვენ და თქვენ ერთი და იგივე არჩევანი გვაქვს გასაკეთებელი — ან დღესვე ერთად ვიღებთ გადამჭრელ ზომებს და უზრუნველვყოფთ არჩევნების სამართლიანობასა და თავისუფლებას, ან ერთი თვის შემდეგ მაინც ერთად მოგვიწევს გაყალბებული არჩევნების შედეგებთან გამკლავება და ქვეყნის პოლიტიკური კრიზისიდან გამოყვანა.**

## ბიძინა ივანიშვილის მიმართვა საერთაშორისო თანამეგობრობას

30 აგვისტო, 2012, თბილისი



## სადღეისო, საგანგებო!

ინფორმაცია

## ევროკავშირის მისია დაღესტნის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე მოვლენებს აკვირდება

**ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია აკვირდება საქართველო-რუსეთის საზღვრის დაღესტნის მონაკვეთზე მიმდინარე მოვლენებს . ამის შესახებ საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის განცხადებაშია აღნიშნული.**

განცხადების მიხედვით, საქართველოს ხელისუფლებამ ევროპის სადამკვირვებლო მისიას აცნობა საქართველო-რუსეთის საზღვრის დაღესტნის ნაწილში მიმდინარე სპეცოპერაციის შესახებ. ევროკავშირის სხვა ინსტიტუტებთან ერთად, სადამკვირვებლო მისია თვალყურს ადევნებს მიმდინარე მოვლენებს.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია მწუხარებას გამოთქვამს ოპერაციაში ჩართული ქართველი სამართალდამცავების გარდაცვალების გამო.

— მისიის სახელით, ყველა თანამშრომლისა და პირადად ჩემი სახელით, გამოვთქვამ გულწრფელ მწუხარებას გარდაცვლილთა ოჯახების მიმართ, — განაცხადა სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელმა, ელჩმა ანჯეი ტიშკევიჩმა.



## მერაბიშვილი სპეცოპერაციით კმაყოფილია

**ჩვენ მოვახერხეთ საქართველოს საზღვრების, ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხოების დაცვა, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა განაცხადა და აღნიშნა, რომ ლოპოტას ხეობაში სპეცოპერაციის ძირითადი ფაზა დასრულდა**

— ჩვენ მოვახერხეთ და უზრუნველვყავით საქართველოს საზღვრების, ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხოების დაცვა. მე მინდა მადლობა გადავუხადო შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების ყველა იმ თანამშრომელს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ამ ოპერაციაში. მე მინდა სამძიმარი გამოვუცხადო ყველა გარდაცვლილის ოჯახს და მინდა ვთქვა, რომ მათ ოჯახებზე ზრუნვა იყო და არის ჩვენი მთავარი საზრუნავი. მე ვიცი, რომ დაჭრილების მდგომარეობა სტაბილურია. მათზე პირადად ზრუნავს მინისტრი ჭიაბერაშვილი. საქართველო არის სახელმწიფო, რომელიც უზრუნველყოფს საკუთარი მოქალაქეების უსაფრთხოებას, სტაბილურობას და საქართველო არასდროს არ დაუბრუნდება იმ დროს, როდესაც ის ვერ ახერხებდა მისი მთავარი პრინციპების, მოქალაქეებისა და საზოგადოებაში უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვას. ჩვენ ვაძლიერებთ ეკონომიკის განვითარებას და ამისთვის აუცილებელი პირობა არის უსაფრთხოება, — აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

## შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება

**შინაგან საქმეთა სამინისტრო ლოპოტას ხეობაში სპეცოპერაციის შესახებ განცხადებას ავრცელებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ .**

— ლოპოტის ხეობაში მიმდინარე სპეცოპერაციის ძირითადი ფაზა დასრულებულია. შეიარაღებულ დივერსანტთა ჯგუფის 11 წევრის გვამი ნაპოვნია. მათი ნაწილი რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები არიან, ჩრდილოეთ კავკასიიდან. გარდაცვლილთა დაკრძალვა მოხდება მათი რელიგიური მრწამსის შესაბამისად. შინაგან საქმეთა სამინისტროს აქვს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ შეიარაღებული ჯგუფის რამდენიმე დაჭრილი წევრი შეიძლება იმალებოდეს ხეობაში. დივერსანტთა ჯგუფი სავარაუდოდ 20 შეიარაღებული პირისაგან შედგება. პოლიცია აგრძელებს ძებნის ღონისძიებებს. ხეობაში მოსახლეობის უსაფრთხოება უზრუნველყოფილია. მათ არანაირი საფრთხე არ ემუქრებათ, — აღნიშნულია შსს-ს განცხადებაში.

## „დაღესტანის მოჯაჰედები“ აღშფოთებულნი არიან

**„დაღესტანის ვილაიეთის“ ხელმძღვანელობა იუწყება, რომ საქართველოში ბრძოლები „კავკასიის იმარათის“ მოჯაჰედებთან მიმდინარეობს, — ამის შესახებ ინფორმაციას დაღესტნური საიტი vdagestan.info ავრცელებს.**

— ჩვენი ინფორმაციით, ჩვენი მოძმე მოჯაჰედები არ აპირებდნენ საქართველოს ტერიტორიაზე რაიმე ოპერაციის ჩატარებას, რადგან ეს არ შედიოდა მათ გეგმებში, თუმცა, რომ მოესურვებინათ, ალაჰის შემწეობით, იოლად მოახერხებდნენ ამას. ასევე, მოჯაჰედებს არანაირი მძევლები არ აუყვანიათ და ეს ქართული მხარის მიერ ნათქვამი სიცრუე და მონაჭორია, — აღნიშნულია განცხადებაში.

განცხადების მიხედვით, ქართულმა მხარემ „მოღალატურად დარტყმის ქვეშ დააყენა მოჯაჰედები და კავკასიის 11 მამაცი შვილი მოკლა“ და ეს არ არის „პირველი ფარისევლური ნაბიჯი, რომლის მიზანიც პუტინის რეჟიმის მაამებლობაა“.

— ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოს მთავრობას, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს საომარი მოქმედებები მოჯაჰედთა წინააღმდეგ. მოვუწოდებთ, არ მოატყუოს საკუთარი ხალხი და მთელი მსოფლიო და არ დასწამოს ცილი მოჯაჰედებს, ნუ ექნება იმედი, რომ მუსულმანთა სისხლის სანაცვლოდ რუსეთის კეთილგანწყობას მოიპოვებს. ასეთი ქმედებებით თქვენ მხოლოდ კიდევ ერთ მტერს შეიძენთ, რომელიც სასტიკად იძიებს შურს, — აღნიშნულია განცხადებაში.

„სრულიად საიდუმლოდ“

# მიხეილ სააკაშვილის სამი გეგმა

**9 სექტემბერს ზუგდიდში „ქართული ოცნების“ მორიგი აქცია იგეგმება. მართალია, თარიღი არცთუ ისე დიდ ხნის წინათ დაზუსტდა, თუმცა დიდი შორსმჭვრეტელობა არ სჭირდებოდა იმის მიხვედრას, რომ „ქართული ოცნება“ საქართველოს ამ კუთხეში აქციას აუცილებლად ჩაატარებდა. მართალია, ბაჩო ახალაია შინაგან საქმეთა მინისტრად მთავრობაში მორიგი და, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი გადაჯგუფების შედეგად დაინიშნა, მაგრამ მის დანიშვნას ზუგდიდის მაჟორიტარად მამამისის — როლანდ ახალაიას — მაჟორიტარ კანდიდატად დასახელებასაც უკავშირებენ. ექსპერტების აზრით, ზუგდიდის აქციაზე ხელისუფლება მოსინჯავს იმ მეთოდებს, რომელთა გამოყენებაც არჩევნებზე იგეგმება.**

შესაბამისად, მეტ-ნაკლებად რეალისტური საარჩევნო პროგნოზების გაკეთებაც სწორედ ზუგდიდის აქციის შემდეგ იქნება შესაძლებელი.

„ქართული ოცნების“ წევრი მამუკა არეშიძე მიიჩნევს, რომ ხელისუფლება სამ სამოქმედო გეგმაზე მუშაობს: **„გეგმა ა“** ამოქმედდება, თუკი არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობა“ იმარჯვებს, **„გეგმა ბ“** იმ შემთხვევისთვისაა გამიზნული, თუკი არჩევნებში დამარცხდება, **„გეგმა გ“** კი არჩევნებს ტოტალურ გაყალბებას გულისხმობს, რის განხორციელებაც, სავარაუდოდ, უცხოელი დამკვირვებლების სიუხვის შემთხვევაში გაჭირდება.

ამის პარალელურად, ისევ უცნობია, თუ რა გადაჯგუფებებია ქართულ შეიარაღებულ ძალებში, რას ემსახურება თითქოს რეზერვისტების მობილიზება და რატომ გააკეთა ამას წინათ თავდაცვის მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა განცხადება, რომ 5 სექტემბრიდან ამერიკის შეერთებული შტატები, საქართველოსთან არსებული შეთანხმებების საფუძველზე, იწყებს საქართველოს დახმარებას გადამზადებაში.

**მამუკა არეშიძე:** „ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ სხვადასხვა დახურულ ბანაკებში ინტენსიურად ამზადებენ სხვადასხვა ტიპის ფორმირებებს. ქართულ საზოგადოებაში ვრცელდებოდა განსხვავებული ინფორმაცია, თავდაპირველად, თითქოს ისინი იყვნენ რეზერვისტები, შემდეგ ითქვა, რომ პარტიზანები არიან, ბოლოს კი — რომ მათ მიტინგების დასარბევად ამზადებენ. ეს არის ინფორმაციის ერთგვარი აჯაფსანდალი, რაშიც ვერაფრით გაერკვა ქართული საზოგადოება.

მაგრამ ჩვენთვის ცნობილი გახდა, რა ხდება: არსებობს ბანაკების ორი ტიპი. მაგალითად, კრწანისის მომზადების ცენტრის ერთ ნაწილში წვრთნას გადიან შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურის სპეცრაზმელები და პლუს კუნთმაგარი ბიჭები, საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან თავმოყრილი. მათ ამზადებენ მიტინგების დასარბევად, მაგრამ მათ საფარქვეშ, იმავე კრწანისის ბაზაზე, მეორე ნაწილში, სულ სხვა მომზადებას გადიან სამხედროები, ასევე, სპეცრაზმელები, ოღონდ მათ მიტინგის დარბევასთან საერთო არაფერი აქვთ. მათ ამზადებენ კლასიკური პარტიზანული ბრძოლისთვის. ანალოგიური ვითარებაა საქართველოს ბევრ სხვა კუთხეშიც.



ეს სიტუაცია გვკარნახობს, რომ საქართველოს ხელისუფლების მარაგში არის მოვლენების განვითარების რამდენიმე სცენარი, მათ შორის, ერთი, როდესაც საჭირო იქნება მიტინგების დარბევა პირველი ოქტომბრის შემდეგ და მეორე, თუ დაინახეს, რომ პირველი ოქტომბრის შემდეგ შეიძლება აზრი აღარ ჰქონდეს მიტინგის დარბევას, იმიტომ რომ სამიტინგო არაფერი იყოს, აპირებენ მანამდე გადადგან გარკვეული ნაბიჯები. აბა, რისთვის უნდა ამზადებდნენ ადამიანებს პარტიზანული ომებისთვის?!“

მამუკა არეშიძე არ გამორიცხავს, რომ ხელისუფლებამ მოაწყოს პროვოკაცია „სამხრეთ ოსეთის“ პირობით საზღვარზე იმ მიზნით, რომ რუსული სახელმწიფოს მორიგი დარტყმა მიიღოს, რაც მას არა არჩევნებში დამარცხებულის, არამედ რუსული აგრესიის გამო ქვეყნიდან დევნილი ხელისუფლების სტატუსს მიანიჭებს.

**მიხეილ ბოლქვაძე**

ელჩი



## რიჩარდ ნორლანდი სექტემბრის დასაწყისში ჩამოვა

**აშშ-ის ახალი ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი თბილისში სექტემბრის პირველ კვირაში ჩამოვა . ამის შესახებ საქართველოში აშშ-ის საელჩოში განაცხადეს.**

ამასთან, საელჩოს პრესსამსახურის ინფორმაციით, ელჩის ჩამოსვლის ზუსტი თარიღი ჯერ ცნობილი არ არის.

რიჩარდ ნორლანდმა საქართველოში აშშ-ის ელჩის თანამდებობაზე ჯონ ბასი შეცვალა.

**ინტერპრესნიუსი**

წინასაარჩევნო თავსატეხი

# „ვინ ქვაბულიძე და ვინ მეცხვარე“...

**აშშ-ზე, თურქეთზე, რუსეთსა და სააკაშვილის ხუშტურებზე (ანბანის რიგზე დალაგებით) დამოკიდებულ დამოუკიდებელ, ჩამოჭრილ, შეკვეცილ, დაპატარავებულ და მაინც სრულიად საქართველოში წინასაარჩევნო ციებ-ცხელება (ცხელებაზე აქცენტით), გაწევ-გამოწევა (ქვების სროლის ჩათვლით), ქება-ტრაბახი-ლანძღვა-გინება, ტყუილ-მართალი (ტყუილის საგრძნობი უპირატესობით) გადმოფრქვევაა. მოკლედ, წინასაარჩევნო კამპანიაა (უწიგნურები კომპანიაში ნუ აურევენ...).**



ერთმა გარემოებამ განსაკუთრებით შემაფიქრიანა....

ერთხანს მეგონა, რომ პარლამენტარობა, პარლამენტი ბატუტია, ტრამპლინია, — ასახტომად, მთავრობაში გადასახტომად და იქ რბილ სავარძელში ჩასახტომად (შინაურული თქმით, მოსაკალათებლად). ბოლო მაგალითებმა ეს „გონება“ შემირყია.

აგერ, გიორგი (გია) ბარამიძე სახელმწიფო მინისტრის მაღალი თანამდებობიდან გადადგა და გამორჩეული პატივით — თვით პრეზიდენტისაგან ხელჩაკიდებით ბათუმის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად წარმოდგა.

ასევე გააკეთა, სააღმსრულებლო-სახელისუფლებო სარფიანი პოსტი დასტოვა კიდევ რამდენიმე მაღალჩინოსანმა, იმათ შორის გუბერნატორმაც, თუმცა ქვეყნის უმაღლესი და მთავარი პირის ხელით კანდიდატად მოვლინების პატივი ყველას როდი ხვდა...

ნეტავ რა ჰქვია ამას, როცა ასე შემოსავლიან, განაღდებულ ადგილზე უარს ამბობ და ჯერაც გასანაღდებელ, სათუო დეპუტატობის მაძიებლობაზე გადადიხარ... ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ინტერესებისთვის? დემოკრატობანას თამაშისთვის?.. — ეშმაკობთ, ბიძიებო, რაღაცას თქვენ...

მაგრამ გიას მივუბრუნდეთ, ბარამიძეს. უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში რომელიმე კუთხის (ქალაქია თუ რაიონი) წარმომადგენლობის პრეტენზია რომ გქონდეს, „სულ მცირე“, იქაური მკვიდრი თუ არა, ფესვებით მაინც უნდა იყო იქაურობის კარგი მცოდნე და მხურვალე გულშემატკივარი, თორემ ვინ ქვაბულიძე და ვინ მეცხვარე გამოგივა... რამდენადაც მე ამ კაცის, მძიმეწონოსანი სახელმწიფო მოხელის ბიოგრაფიას ვიცნობ, ბათუმთან არავითარი შეხება არა აქვს, არცრა ესაქმება და მაგისი „გაბათუმელება“, ალბათ უმაღლესხუშტურიანის მორიგი ხუშტურია...

ასეა თუ ისე, ხუმარლექსი კი გამომტყუა:

**ეს ამბავი უთუოდ თქვენც გაგიგიათ — კენჭს ბათუმში იყრის თურმე აგი გია. ვინ ისურვა, ან იდეა ვინ ისროლა — დასმთოს დეპუ-ტატო-ბისთვის მინისტრობა; მით უმეტეს, როს არ არის ბათუმელი... ვინ მოიგებს ვითარების გართულებით?.. — მიაწექი, გია, ნულარ შეჩერდები; მოამრავლე ბორდელები, მეჩეთები...**

**ბერდია ბედოიძე**

## ნაბიჯი წინ!

# რას გვამცნობენ წინასაარჩევნო ლოზუნგები?

**წლების განმავლობაში, განსაკუთრებით წინასაარჩევნო პერიოდში, პოლიტიკური პარტიებისგან შეჩვეული ვართ უხვ წინასაარჩევნო დაპირებებსა და ლოზუნგებს, რომლებიც, ძირითადად, პოპულისტურ ხასიათს ატარებს ხოლმე. ერთ თვეზე ცოტა მეტი დრო რჩება 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე. როგორია ქართული პოლიტიკური პარტიების მიერ წარმოდგენილი ლოზუნგები, რა იკითხება ამ ლოზუნგების უკან და რას გვამცნობენ ისინი? ფსიქოლოგი მარინა ჩიტაშვილი From.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ ყველა პარტიის საარჩევნო ლოზუნგი, როგორც წესი, უნდა ატარებდეს და ატარებს გარკვეულ ემოციურ ელფერსა და დატვირთვას, თუმცა არ ჩანს, რა როგორ უნდა გაკეთდეს, არ არის გამოხატული კონკრეტული ქმედებები.**

ჩიტაშვილი აცხადებს, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ლოზუნგი „მეტი სარგებელი ხალხს“ – ყველაზე უფრო ცუდი ლოზუნგია, რომელიც კი „ნაციონალურ მოძრაობას“ წინასაარჩევნო კამპანიაში ჰქონია.

**„საარჩევნო კამპანიაში ლოზუნგი იმის ლოზუნგია, რომ მეტი დატვირთვა უნდა აჩვენოს. „ მეტი სარგებელი ხალხს“ ეს ყველაზე უფრო ცუდი ლოზუნგია, რომელიც კი „ნაციონალურ მოძრაობას“ წინასაარჩევნო კამპანიაში ჰქონია. რადგან ბუნებრივია ისმის კითხვა – ცხრა წლის შემდეგ რატომ დადგა აუცილებელი, რომ ხალხმა მიიღოს სარგებელი? აქამდე სად მიდიოდა ეს სარგებელი? შეიძლება, ვინმეს აქვს ის დამოკიდებულება, რომ ამ ქვეყანაში ცხოვრობენ ადამიანები, რომლებიც მოწყალებას დაელოდებიან, საერთოდ, დემოკრატიულ სახელმწიფოში ხელისუფლება მოწყალებას არ არიგებს, დემოკრატიულ სახელმწიფოში სახელმწიფო ხალხის სარგებელში დგას. რამდენად იმუშავებს ეს ლოზუნგი, არ ვიცი“,** – აცხადებს ჩიტაშვილი.

ფსიქოლოგის აზრით, **ქდმ-ს ლოზუნგი „ერთიანი საქართველო ყველა თაობისთვის“ – ეს ნაწილი „ყველა თაობისთვის“ ძალიან კარგია იმიტომ, რომ თაობები ამ ქვეყანაში გარიყულად თავს არ უნდა გრძნობდნენ. „ეს ლოზუნგი ნამდვილად კარგია, თუმცა, ახალი არ არის და ეჭვი მეპარება, რომ რომელიმე პარტიას „ერთიანი საქართველო“ თავში არ ჰქონდეს. ამის გათვალისწინებით, ეს ცუდი კომბინაცია არ გახლავთ და მიმზიდველია. თუმცა, რა ქმედებები უნდა განხორციელდეს ამისთვის და რა იგულისხმება, არ ვიცი. ქდმ-ს ბოლო კლიპებში, დაბალ ტარიფებსა და ნაკლებ გადასახადებზეა საუბარი. ნაკლებ გადასახადებზე საქართველოს ერთიანობა და ეკონომიკის აღორძინება ნამდვილად არ არის დამოკიდებული, თუმცა, ეს სოციალურად მიმზიდველი შეიძლება იყოს. გადასახადები შეიძლება შემცირდეს, თუმცა, თუ საგადასახადო სამსახურმა სხვა მხრიდან არ მოახდინა გადასახადების ამოღება და ბიუჯეტის შევსება, ეს ბიუჯეტის შემცირებას გამოიწვევს, რაც ისედაც ძალიან მცირეა“,** – განმარტავს ფსიქოლოგი.

ჩიტაშვილს მიაჩნია, რომ ემოციურად ყველაზე დატვირთული ლოზუნგი კოალიცია „ქართულ ოცნებას“ გააჩნია, რადგან ყველა ადამიანს გააჩნია თავისი ოცნება და თავისი საქართველო.

**„ამ ლოზუნგში ყველას შეუძლია ჩადოს თავისი შინაარსი. მთავარია, კოალიციამ არჩევნებში რაც შეიძლება მეტი მხარდაჭერა მოიპოვოს, თუმცა, გამარჯვების შემთხვევაში, მერე არ იყოს დიფერენციაცია, მე სხვა მეგონა და სხვა რაიმეს გულისხმობდნენ. ემოციური დატვირთვის თვალსაზრისით, რომ ლოზუნგმა აღგაფრთოვანოს, ეს ლოზუნგს ნამდვილად გააჩნია. თუმცა, კონკრეტულად რა იგულისხმება ამაში, თუ არ ჩავთვლით კოალიციის გაცხადებულ პრიორიტეტებს – ძლიერი სოფელი, ჯანდაცვა ყველასთვის, თავისუფალი მედია და სასამართლო და განთავისუფლებული ბიზნესი, ეს რაღაცნაირად პასუხობს იმ წამოჭრილ პრობლემებს, რომლის მიმართაც არის მოსახლეობის ძირითადი პრეტენზიები“,** – აცხადებს მარინა ჩიტაშვილი.

მარინა ჩიტაშვილის შეფასებით, ახალი მემარჯვენეების ლოზუნგი „შეძლებული ოჯახი ქალაქად და სოფლად“ ნამდვილად კარგი ლოზუნგია და ემოციურადაც დატვირთულია, თუმცა, კვლავ არ ჩანს რა როგორ უნდა გაკეთდეს და საარჩევნო ყუთთან ადამიანებს არჩევანის გაკეთება, პარტიების მიმართ, მაინც მათი ნდობის მიხედვით მოუწევთ.

**„რომ შევაჯამოთ და რეიტინგები მივცეთ პარტიების წინასაარჩევნო ლოზუნგებს, ემოციურობის თვალსაზრისით, თავის ძირითად დაკვეთას ყველა ლოზუნგი რაღაცნაირად ეხმიანება. თუ ადამიანმა ჩართო შეფასებების სისტემა, აღმოჩნდება, რომ მას მაინც მოუწევს გადაწყვეტილების მიღება იმ არჩევანის მიხედვით, რომელ პარტიას უფრო უნდა ენდოს და რომლის უნდა დაიჯეროს“,** – აცხადებს ჩიტაშვილი.










## რასაც შენ აკეთებ, დემოკრატია არ არის!

# ქართული ოპოზიცია ობამას ადმინისტრაციის მწვავე საარჩევნო დავაში ჩაბმას ცდილობს

**საქართველოს მთავარი ოპოზიციური პარტიის ლიდერი ყველაფერს აკეთებს იმის მისაღწევად, რომ ობამას ადმინისტრაციამ 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინ კამპანიის პროცესში არსებული სავარაუდო დარღვევები დაგმოს.**

კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერი და საქართველოს ყველაზე მდიდარი კაცი ბიძინა ივანიშვილი ამბობს, რომ შეერთებული შტატები უნდა დაელაპარაკოს მიხეილ სააკაშვილს და თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები უზრუნველყოს. სხვაგვარად, ამერიკამ შეიძლება დაკარგოს მისი ყველაზე ახლო მოკავშირე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან კავკასიის რეგიონში!

**„ჩვენი ყველაზე დიდი მიღწევა ბოლო 20 წლის განმავლობაში არის ის, რომ შეერთებულმა შტატებმა – ამ დიდმა, ძლიერმა სახელმწიფომ – საქართველო თავის ახალგაზრდა მეგობრად მიიღო. ეს არის ის, რის გაძლიერებასაც ვიმედოვნებ მომავალში, მაგრამ ეს არის ასევე ის, რასაც ჩვენ დავკარგავთ“,** – უთხრა ივანიშვილმა The Hill-ს თარჯიმნის დახმარებით სატელეფონო ინტერვიუში. **„ხალხი ხედავდა, რომ სააკაშვილს შეერთებული შტატები ეხმარებოდა, და თუკი ჩვენ ავტორიტარულ რეჟიმს მივიღებთ, ხალხი შეერთებული შტატების წინააღმდეგ განეწყობა“.**

ინტერვიუს ორგანიზება ამერიკელი ლობისტების დახმარებით მოხდა და მისი მიზანი სახელმწიფო დეპარტამენტზე ზეწოლაა, რათა დაიწყოს იმ ბრალდებების განხილვა, რომლის თანახმადაც სააკაშვილის მთავრობა ივანიშვილის მხარდამჭერებს დევნის და არ აძლევს მათ „ქართული ოცნების“ კამპანიის დაფინანსების უფლებას.

საქართველოს მთავრობა აცხადებს, რომ კოალიცია „ქართულ ოცნებას“ საზოგადოებრივ კვლევებში დაბალი მაჩვენებლები აქვს და ამტკიცებს, რომ ივანიშვილი ამზადებს ნიადაგს საპროტესტო გამოსვლებისთვის, როდესაც მისი ბუნდი დამარცხდება.

**„ამ ფონზე, ეს განცხადება ჩემთვის არის იმ საერთაშორისო კამპანიის ნაწილი, რომლის მიზანი ინსტიტუტებისთვის ძირის გამოთხრაა“,** – უთხრა The Hill-ს საქართველოდან გიგა ბოკერიამ, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა და თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უწყებათაშორისი სააგენტოს ხელმძღვანელმა.

**„შეიძლება ვივარაუდოთ, რომ (ივანიშვილი) ემზადება ისეთი სიტუაციისთვის, როდესაც ის თუკი დამარცხდება და როდესაც დამარცხდება თავისუფალ და სამართლიან არჩევნებში, ის განაცხადებს, რომ ხმები მოპარულია და მოემზადება ქუჩის გამოსვლებისთვის, და იტყვის, რომ იყო უამრავი კრიტიკა... ასევე შეეცდება ისეთი შთაბეჭდილება შექმნას საერთაშორისო მედიაში, რომ არჩევნების მოპარვის ფაქტი დიდი სიურპრიზი არ იქნება“,** – განაცხადა ბოკერიამ.

ივანიშვილი თავის მხრივ აცხადებს, რომ მას შემდეგ, რაც ზაფხულის დასაწყისში შეერთებული შტატების ელჩმა ჯონ ბასმა თავისი პოზიცია დატოვა, სიტუაცია ბევრად გაუარესდა. მისი შემცვლელი რიჩარდ ნორლანდი, როგორც მოსალოდნელია, საქართველოში 1 სექტემბერს ჩავა.

**„ორი თვის წინ, ისინი რაღაცას მაინც სცემდნენ პატივს“,** – უთხრა The Hill-ს ივანიშვილმა. – **„როგორც კი (შეერთებული შტატების) ელჩი წავიდა, თავდასხმები და დაშინება ყველა ზღვარს გასცდა“.**

**მთავრობა ივანიშვილს ბრალს სდებს, რომ თავისი სიმდიდრის მნიშვნელოვანი ნაწილი სხვა ადამიანების საშუალებით „ქართული ოცნების“ კამპანიისკენ მიმართა, რითაც პარტიების დაფინანსების კანონებს არღვევს. საქართველოს მთავრობამ ივანიშვილი და მისი მხარდამჭერები 100 მილიონზე მეტი დოლარით დააჯარიმა და კანონდარღვევაში ეჭვმიტანილი იმ 68 ადამიანის სახლი დააყადაღა, რომლებიც ამ ჯარიმებს ვერ იხდიან,** – ამბობს ივანიშვილი.

**„ჩემი კაპიტალი ფული არ არის. ჩემი კაპიტალი ნდობაა, რომელსაც 21 წლის განმავლობაში ვაშენებდი, და ჩემი ბიოგრაფია, რაც არის საქართველოს დახმარება და ქველმოქმედება, რომელიც გაწეული მაქვს“,** – თქვა ივანიშვილმა პასუხად შეკითხვაზე მისი 6-მილიარდ დოლარიანი ქონების შესახებ, რომელიც ქვეყნის ეკონომიკის მოცულობის თითქმის ნახევარია.

ივანიშვილი აცხადებს, რომ მისმა კოალიციამ კამპანიის დაფინანსებისთვის დაშვებული ლიმიტის მხოლოდ 20% დახარჯა. ის ამბობს, რომ მთავრობას არ აქვს იმის მტკიცებულებები, რომ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები საკუთარ ფულს არ იყენებენ ოპოზიციის კოალიციის მხარდასაჭერად.

ამ გზავნილის გავრცელებისთვის, ივანიშვილი თვეში 300 000 დოლარზე მეტს ხარჯავს, მხოლოდ ამერიკულ ლობისტურ კომპანიებზე, როგორც ეს ამ თვის დასაწყისის ლობისტური ანგარიშების დოკუმენტებიდან ირკვევა. ფირმებს Patton Boggs, National Strategies, Downey McGrath lf Parry and Romani აქვთ დავალება მხარი დაუჭირონ „თავისუფალ და სამართლიან არჩევნებს“ საქართველოში.

ლობისტურმა ძალისხმევამ, რომელიც მალევე დაიწყო მას შემდეგ, რაც ივანიშვილმა რბოლაში მონაწილეობის შესახებ განაცხადა, გარკვეულ წარმატებას მიაღწია. მარტში, რესპუბლიკელმა ჯიმ მაკდერმოტმა წარმოადგინა კანონპროექტი, რომლის თანხმადაც შეერთებული შტატების დახმარება უნდა შეწყდეს მანამ, სანამ სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი არ დაადასტურებს იმას, რომ ოქტომბრის არჩევნები თავისუფალი და სამართლიანი იყო.

თუმცა, კანონპროექტს არაფერი მოჰყოლია და სააკაშვილს კვლავ რჩება ვაშინგტონში გავლენიანი „მეგობრები“. 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ ლიდერი, რომელმაც ავტორიტარი პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე დაამხო, მოდერნიზატორად და რეფორმატორად აღიქმება, რომელიც 2008 წელს რუსეთს ხანმოკლე სასაზღვრო ომში დაუპირისპირდა.

ივანიშვილმა თქვა, რომ მას კარგად ესმის სააკაშვილზე მოულოდნელი თავდასხმის პოლიტიკური შედეგები შეერთებული შტატებისთვის, განსაკუთრებით საარჩევნო სეზონში.

**„შეერთებული შტატები იმდენი ხნის განმავლობაში ისეთ ინვესტიციებს დებდა საქართველოში, სააკაშვილი დემოკრატიის შუქურად იყო შერაცხული, და ახლა მათ სააკაშვილის ნამდვილი სახე დაინახეს“,** – განაცხადა მან. **„ამის აღიარება არც ისე სასიამოვნოა“.**

მაგრამ მისი თქმით, შეერთებული შტატები ერთადერთია, რომლის ხმასაც მნიშვნელობა აქვს.

„სააკაშვილის ყველაზე დიდი იარაღი იმის წარმოდგენაა, რომ ის დემოკრატია“, თქვა ივანიშვილმა.

თუკი შეერთებული შტატები ეტყოდა მას, რომ **„ის, რასაც შენ აკეთებ დემოკრატია არ არის, ერთადერთი რამ, რაზეც სააკაშვილი დგას გაქრებოდა – მას არ აქვს ნავთობი, არ აქვს ფული, არაფერი არ აქვს.**

**„მისთვის შეუძლებელი გახდებოდა პატივი არ ეცა ამ განცხადებისთვის“.**

THE HILL

# ხალხის ხმა არ უნდა გაიყიდოს!

## იმერეთში ხელისუფლების მიერ მოსახლეობის დაშინების და მოსყიდვის ფაქტები



**იმერეთში „ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ, ხელისუფლების მიერ ამომრჩევლის მოსყიდვის და დაშინების შესახებ For.ge გთავაზობთ კონკრეტულ ფაქტებს, რომელიც ეყრდნობა არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ხმა სამართლიანი არჩევნებისთვის“ მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.**

ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებს „ნაცმოძრაობისა“ და მთავრობის მიმართ ლოიალურად განწყობილი ადამიანების მოძიება აქვთ დავალებული. მოძიებულ ინფორმაციას, კერძოდ, პირადობის მოწმობებში არსებულ მონაცემებს ძალოვნები ზემდგომებს აწვდიან, რის შემდეგაც მოძიებული ხალხის მონაცემებით სპეციალური სამსახურების თანამშრომლები ინტერესდებიან.

**სამსახურების დაკარგვის და მდგომარეობის გაუარესებით გამოწვეული შიშის გამო, „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერებად ასაღებენ თავს ისინიც, ვისაც „ნაცმოძრაობის“ ატანა არა აქვს. ეს შიში რეალურია, რადგან ამომრჩეველს პირდაპირ ემუქრებიან.**

ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებს დავალებული აქვთ „ნაცმოძრაობის“ 10 მომხრის მონაცემის ჩაბარება. სახელმწიფოს სხვა სტრუქტურებში დასაქმებულებს კი „ნაცმოძრაობის“ 5-5 მომხრის პირადი მონაცემების მიტანა ევალებათ. თუ დავალებას ზედმიწევნით არ შეასრულებენ, ძალოვნებიც და სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებული სხვა პირებიც სამსახურებს დაკარგავენ.

**„ხალხი საშინელ მდგომარეობაშია ჩავარდნილი - ისინიც, ვისაც პირადი მონაცემების მიტანას სთხოვენ და ისინიც, ვინც იძულებულები არიან ახლობლების პირადი მონაცემები ჩააბარონ. თან, მკაცრად არიან გაფრთხილებულები, რომ ამ ინფორმაციამ არ უნდა გაჟონოს. ამომრჩევლებში ინფორმაციაა გავრცელებული, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ თბილისში არჩევნები ასპროცენტიანი წაგებული აქვს და ახლა მთელი აქცენტი ქუთაისზე აქვთ გადატანილი — ლამისაა ქუჩებში დაიწყონ ფულის დარიგება. 150-150 ლარის დარიგებას ისევ აქტიურად აგრძელებენ. იმ კორპუსის თავმჯდომარეს კი, რომელიც სხვებთან შედარებით ბევრ მონაცემს ჩააბარებს, 250 ლარს აძლევენ“,** — წერს „საქართველოს ხმის“ ერთ-ერთი ბლოგერი.

**27 აგვისტოს, ქუთაისში ერთ-ერთი მრავალსართულიანი კორპუსის თავმჯდომარე, საჯარო სამსახურში მომუშავე მობინადრეებთან ერთად დაიბარეს უზნის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა. მანამდე სამი დღით ადრე კი იგივე კორპუსში „ნაცმოძრაობის“ მიკროკოორდინატორმა მთელი კორპუსი აღწერა. ანუ კარდაკარ ჩამოიარა და გამოკითხვა ჩაატარა, იმაზე, თუ ვინ ვისთვის აპირებს ხმის მიცემას 1 ოქტომბერს.**

უზნის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა 27 აგვისტოს კორპუსის თავმჯდომარესთან და საჯარო სამსახურში დასაქმებულებთან შეხვედრა გამართა „ნაცმოძრაობის“ ერთ-ერთ საარჩევნო შტაბში. სათითაოდ განიხილეს კორპუსში მცხოვრები ყველა ოჯახის თითოეული წევრის მონაცემი და განწყობა. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელს წინ ედო იმ არაოფიციალური გამოკითხვის შედეგი, რომელიც მანამდე კორპუსში ჩატარდა.

**„დეტალურად ხდებოდა იმ ადამიანების შესწავლა, რომლებმაც სახელისუფლებო პარტიას მხარდაჭერა არ გამოუცხადეს, ან პასუხის გაცემისგან თავი შეიკავეს. თითოეულ ადამიანზე ცალ-ცალკე მსჯელობდნენ, თუ რით შეიძლება მოახდინონ ზემოქმედება და აზრი შეაცვლევინონ. ეს ყველაფერი დიდ შიშთანაა დაკავშირებული. აი, მაგალითად, კოპურსის ამხანაგობის თავმჯდომარემ ამ შეხვედრაზე წაიყვანა საჯარო სამსახურში დასაქმებული მეზობელი, რომელსაც მუნიციპალიტეტის თანამშრომელმა უთხრა, რომ მამამისმა გამოსაკითხად მისული „ნაცმოძრაობის“ მიკროკოორდინატორი სახლიდან ამ სიტყვებით გამოისტუმრა - „შენი საქმე არ არის, მე ვის მივცემ ხმას“.**

**ამის გამო შვილს მუნიციპალიტეტის თავჯდომარესთან გამართულ შეხვედრაზე მოუწია იმის მტკიცება, რომ მისი ოჯახის უკლებლივ ყველა წევრი 1 ოქტომბერს ხმას „ნაციონალურ მოძრაობას“ მისცემს“,** — წერს ბლოგერი. იქვე აღნიშნულია, რომ ანალოგიურად მოქმედებდნენ სხვა კორპუსებშიც.

ორგანიზაციას — „საქართველოს ხმა სამართლიანი არჩევნებისთვის“ 74-ვე ოლქში ჰყავს ბლოგერები, რომლებიც ორგანიზაციის ვებგერდზე ყოველდღიურად აქვეყნებენ ინფორმაციას არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიების და გაერთიანებების აქტიურობის შესახებ.

ბლოგერების ვინაობა, მათივე უსაფრთხოებიდან გამომდინარე „საქართველოს ხმა სამართლიანი არჩევნებისთვის“ ვებგვერდზე არ ქვეყნდება, მაგრამ, როგორც ორგანიზაციის მესვეურებმა განგვიმარტეს, ბლოგერების მიერ მიწოდებული ინფორმაცია საიტზე დადების წინ ზუსტდება.

for.ge-მ თავისი წყაროების მეშვეობითაც გადაამოწმა ის, რაც ზემოთ შემოგთავაზეთ. ზემოხსენებული ფაქტები ჩვენც დაგვიდასტურეს.

ახლა რაც შეეხება ორგანიზაციას „საქართველოს ხმა სამართლიანი არჩევნებისთვის“ — ის მიმდინარე წლის მაისში შეიქმნა, საერთაშორისო ორგანიზაცია „თავისუფლების სახლის“ და ამერიკის დემოკრატიული პარტიის მხარდაჭერით. „საქართველოს ხმა სამართლიანი არჩევნებისთვის“ თავისი ვებგვერდის (http://www.saqartvelosxma.com)-ის საშუალებით ზრუნავს საქართველოდან გასული ემიგრანტებისთვის თავისუფალი ინფორმაციის მიწოდებაზე.

ეს ორგანიზაცია ასევე ზრუნავდა იმაზე, რომ ემიგრანტები სკაიპის მეშვეობით თავიანთი საცხოვრებელი ადგილების მიხედვით დარეგისტრირებულიყვნენ, რათა 1 ოქტომბერს დანიშნულ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა მიეღოთ, მაგრამ ემიგრანტების დარეგისტრირების პროცესი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს აქტიურობის შედეგად შეწყდა.

როგორც „საქართველოს ხმა სამართლიანი არჩევნებისთვის“ მესვეურებმა განგვიმარტეს, სამინისტროს მიერ გამოცემული სპეციალური ბრძანების შემდეგ, არალეგალები უნდა დარეგისტრირებულიყვნენ ოფიციალურად, ან საკონსულოში საცხოვრებელი ადგილიდან ცნობა მიეტანათ, რამაც ბევრ ჩვენს თანამემამულეში შიში გამოიწვია და სკაიპით დარეგისტრირების პროცესი შეწყდა.

„საქართველოს ხმამ“ საგარეო საქმეთა სამინისტროს ბრძანება წერილობით გამოითხოვა და „ახალგაზრდა იურისტთა ასოციასთან“ ერთად სამართლებრივი მსვლელობა მისცა.

**ნინო მიქიაშვილი**

## მასმედიის ბედი საქართველოში

# ტერორისტული აქტი ჩვენი გონებისთვის

**„მედია ეკუთვნის საზოგადოებას და არა მის მფლობელებს“,** — ასეთი განცხადება ტელემაყურებელთა კავშირის ხელმძღვანელმა გიორგი კევლიშვილმა ორიოდე დღის წინათ **For.ge**-ს პრესკლუბში გააკეთა. მანვე ტელემაყურებელთა კავშირის მოთხოვნები და მედია-საშუალებებისადმი შეთავაზებები წარმოადგინა. ორგანიზაცია ქართულ ტელეკომპანიებს მოუწოდებს ორი კვირის განმავლობაში დაასახელონ მათი მფლობელების ვინაობა, გამოაქვეყნონ და ხელმისაწვდომი გახადონ ინფორმაცია 2012 წლის 1 იანვრიდან 31 ივლისის ჩათვლით პერიოდში მიღებული შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ. ამასთანავე, ტელემაყურებელთა მოთხოვნაა, ქართულმა ტელეკომპანიებმა საზოგადოებას ყოველკვარტალურად მიაწოდონ ინფორმაცია წინა კვარტალში მიღებული შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ.

**ტელემაყურებელთა კავშირში აცხადებენ, რომ უკლებლივ ყველა მედია-საშუალების მხრიდან ასეთი მიდგომა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს რეალური გამჭვირვალობის დამკვიდრებას და ტელემაყურებელს მისცემს საშუალებას, თავად გაერკვეს, რომელი ტელეარხი რა ფინანსური წყაროებით არსებობს.**

ტელემაყურებელთა კავშირის ხელმძღვანელი გიორგი კევლიშვილი ამბობს, რომ მის ორგანიზაციას მედია-საშუალებებისთვის კონკრეტული რეკომენდაციებიც აქვს. კერძოდ, კავშირი რეკომენდაციას აძლევს მედია-საშუალებებს, შეიმუშაონ საკუთარი, ან შეუერთდნენ უკვე არსებულ ეთიკის კოდექსს, გამოაქვეყნონ ფასეულობები და სტანდარტები, რომელთა შესაბამისადაც ისურვებდნენ საზოგადოებას ემსჯელა მათ შესახებ.

**„ვთავაზობთ ყველა მედია-საშუალებას, შემოიღონ „შიდა ომბუდსმენის“ ინსტიტუტი. ომბუდსმენის, როგორც თვითკრიტიკისა და თვიცენზურის ფუნქცია უნდა იყოს მედია-საშუალების მუშაობის უწყვეტი მონიტორინგი და კონსტრუქციული კრიტიკა, ასევე მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, საზოგადოებასთან ურთიერთობა“,** — განაცხადა კევლიშვილმა.

მისივე თქმით, კარგი იქნებოდა, თუკი მედია-საშუალებების ხელმძღვანელობა დაანესებდა მმართველი საბჭოს ღია კრებებს, სადაც მოქალაქეებს დასწრების და საკუთარი აზრის გამოხატვის საშუალება ექნებოდათ.

ტელემაყურებელთა კავშირის პრესკონფერენციას პენ-კლუბის წარმომადგენელი ირაკლი კაკაბაძე და უფლებადამცველი დაჩი ცაგურია ესწრებოდნენ, რომლებმაც განაცხადეს, რომ მხარს უჭერენ ტელემაყურებელთა კავშირის ინიციატივას.

**„დღეს მე პენ-კლუბს წარმოვადგენ და საერთაშორისო „პენი“ ზრუნავს იმაზე, რომ მთელს მსოფლიოში სიტყვის თავისუფლება იყოს შენარჩუნებული. საქართველოში ამ მხრივ ძალიან მძიმე სიტუაცია გვაქვს. დღეს კი ახალი ტიპის ცენზურაზეა საუბარი. თუკი საბჭოთა კავშირის პერიოდში სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფ მედიაზე იყო საუბარი, დღეს გაჩნდა ახალი ტერმინი „აუტსორსინგი“, როდესაც სახელმწიფო ახდენს ოლიგარქებისთვის გარკვეული მედია-საშუალებების გადაცემას, ეს ოლიგარქები კი ვითომდა კერძო საკუთრების საფარქვეშ, მმართველი კორპორატიული, ოლიგარქიული სახელმწიფო კლანის ინტერესებს ატარებენ. ანუ რეალურად თავისუფალი სიტყვა იყიდება და ამაში მთავარ როლს, სახელმწიფოსთან ერთად კერძო მედია-მაგნატები თამაშობენ. დღეს ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, საზოგადოებამ დაიწყოს იმის განხილვა, თუ ვინ არის ეს ხალხი, ვინ და როგორ დანიშნა ეს ხალხი და რა გზით დაეპატრონენ ისინი მედია-საშუალებებს და როგორ ყიდულობენ ჩვენი ბავშვების ცნობიერებას“,** — აცხადებს პენ-კლუბის წარმომადგენელი ირაკლი კაკაბაძე.

მისივე თქმით, ტელეკომპანიების მფლობელთა საკითხის გაუმჭვირვალობა ხელისუფლებისათვის არასასურველი ფაქტების დამალვას განაპირობებს. ამის მაგალითად, კაკაბაძემ ყოფილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული ამბები მოიყვანა. კერძოდ, კაკაბაძის განცხადებით, მედია-საშუალებები, სადაც ჟვანიას სიკვდილის ოფიციალური ვერსია ეჭვქვეშ იქნა დაყენებული, დღეს აღარ არსებობს.

**„ქრონოლოგიურად მოვყვები ამ ამბავს. ბატონი ჟვანიას გარდაცვალების დღესვე, ტელეკომპანია „მზეზე“ ირაკლი იმნაიშვილმა თავის გადაცემაში დასვა კითხვა, რამდენად შესაძლებელი იყო პრემიერ-მინისტრის ასე გარდაცვალება. ამას მოჰყვა იმნაიშვილის გადაცემის დახურვა, ტელეკომპანია „მზის“ გასხვისება, ხოლო თავად ჟურნალისტი დღეს დევნილობაში იმყოფება.**

**2005 წლის მაისში, ვახო კომახიძემ ამ საკითხზე გადაიღო ფილმი, სადაც სერიოზული კითხვები დასვა. ეს ფილმი ჯერ არც ერთმა არხმა არ გაუშვა, რადგან ამაზე ბოკერიას დირექტივა არსებობდა, ხოლო შემდეგ ამის გაკეთება გაბედა ტელეკომპანია „202“-მა. სამ თვეში შალვა რამიშვილი დაიჭირეს, „202“ კი გაასხვისეს, რის აღკვეთაც მიუხედავად სერიოზული მცდელობისა ვერ შევძელით.**

**და ბოლოს, უკვე 2007 წლის ზაფხულში გოგა ხაინდრავამ და ლევან გაჩეჩილაძემ ინგა გრიგოლიას გადაცემაში დასვეს საკითხი, რომ ჟვანიას გარდაცვალების ხელახალი გამოძიება უნდა ჩატარებულიყო. რამდენიმე თვეში იყო 7 ნოემბერი და ამის შემდეგ ტელეკომპანია „იმედს“ რა ბედიც ეწია, ყველამ კარგად ვიცით“,** — ამბობს კაკაბაძე.

მისი თქმით, ეს მხოლოდ ერთი კონკრეტული მაგალითია იმისა, თუ როგორ იზღუდება საქართველოში თავისუფალი სიტყვა.

უფლებადამცველი დაჩი ცაგურია კი სვამს კითხვას, როგორ ახერხებენ კონკრეტული ადამიანები, რომ ვიღაც მათ ტელეკომპანიებს ჩუქნის.

**„ძალიან საინტერესოა, როგორ ხდება, რომ ერთ მშვენიერ დღეს კონკრეტული კომპანიის მფლობელი იღვიძებს და ყველაფერს, რაც აბადია, ჩუქნის მაგალითად ვიღაც უდესიანს, ან ვიღაც ბეჟუაშვილს და ა.შ. ჩემთვის დღემდე ამოუცნობია, როგორ შეიძლება ვინმემ ვინმეს აჩუქოს ტელეკომპანია. თუ კომპანია „იოლს“ ვინმე ვინმეს აჩუქებს, ეს რა თქმა უნდა, საინტერესოა და ამით შესაბამისი ორგანოებიც უნდა დაინტერესდნენ. მით უმეტეს საინტერესოა ტელეკომპანიის ჩუქება, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ ეს ჩუქება ბრჭყალებშია და რეალურად საქმე გვაქვს ტერორისტულ აქტთან, რომელიც მის მფლობელს, ან მფლობელის ოჯახის წევრს მოუწყვეს. ასევე ის ტერაქტი, შემდეგ, ყოველდღიურად ჩვენს გონებაზე გრძელდება, რადგან ის გამომძალველი, რომელმაც ტელეკომპანია ხელში ჩაიგდო, შეტევას ჩვენს გონებაზე ახდენს“,** — ამბობს დაჩი ცაგურია.

**ნინო ჟღენტი**

## რა მოხდება 1 ოქტომბერს?

**საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პარტიათა რაოდენობამ კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოში ბოლო ოცი წლის განმავლობაში ჩამოყალიბებული ჭეშმარიტება, რომ დასაქმების ერთადერთი გზა პოლიტიკა და არჩევნებია.**

**ვინ არ დარეგისტრირდა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, ყველა მათგანი რიხით აცხადებს არჩევნებში გამარჯვებაზე, ხალხისთვის საამური ცხოვრების შექმნაზე. გამარჯვებაში მათ ეჭვი არ ეპარებათ, რასაც ვერ ვიტყვით ამომრჩევლებზე. პარტიების წარმომადგენლებთან მოწყობილ შეხვედრებზე დასწრების ბარომეტრით — „ქართულ ოცნებას“ ტოლი არ ჰყავს. მან შესამჩნევად აჯობა (ჯერჯერობით) მმართველ „ნაცებს“, მიუხედავად სამთავრობო რესურსების გამოყენებისა.**

ცხადია, ამა თუ იმ ქალაქში „ოცნების“ მიერ ორგანიზებულ მიტინგში მონაწილეობენ, სხვადასხვა ქალაქებიდან კოალიციაში შემავალი პარტიების მხარდამჭერები, მაგრამ მიტინგზე ჩაყვანილთა რაოდენობით „ნაცებთან“ კონკურენცია შეუძლებელია.

არჩევნებამდე დარჩენილ თითზე ჩამოსათვლელ დღეებში კიდევ უფრო გამოიკვეთება ამ ორი სუბიექტის პრიორიტეტულობა სხვა დანარჩენ პარტიებთან შედარებით, რაც იმას ნიშნავს, რომ ბრძოლა საპარლამენტო უმრავლესობისთვის სწორედ მათ და არა დანარჩენ პარტიებს შორის გაიმართება. ამომრჩეველი ან ერთს მისცემს ხმას ან მეორეს. მესამეს — სხვა პარტიების სახით, არავითარი შანსი არ რჩება, თუ ასეთი თვით „ნაცებმა“ არ გააჩინეს მათთან კულუარულად დაახლოებულ „ოპოზიციურ“ პარტიათა მიმართ.

ეჭვი არავის ეპარება, რომ „ნაცებიც“ და „ოცნებაც“ პარლამენტში მოხვდებიან. ლაპარაკია ვინ რამდენით. ვარაუდები სხვადასხვაა — 80 პროცენტი 10 პროცენტზე ნაცთა სასარგებლოდ და პირიქით. 5-პროცენტიანი ბარიერის გადალახვის შანსი, ნაცთა წყალობით, ქრისტიან-დემოკრატებსაც აქვთ, მცირე — ლეიბორისტებსაც. დანარჩენებისთვის არჩევნებში მონაწილეობა საპატიოდ ჩაითვლება (ასე ჩათვლიან ისინიძ, ცხადია, ნაკლებად საპატიოდ, ვიდრე ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა.

ერთი სიტყვით, პოლიტიზირებულ საქართველოში საზოგადოება ძირითადად ორ ნაწილად დაიყო — სააკაშვილის მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად. ორ ნაწილად არის გაყოფილი მედიაც. ამ დარგში სააკაშვილის მომხრეთა რიგებს ამაგრებენ ტელეკომპანიები „რუსთავი-2“, „იმედი“, „პირველი არხი“, „აჭარის ტელევიზია“ და ა.შ. მოწინააღმდეგეთა შორის არიან „მაესტრო“, „მე-9 არხი“, „კავკასია“, ზოგიერთი ინტერნეტ ტელევიზია. ორივე ბანაკი საკუთარი ექსპერტებით და რესპონდენტებით საზრდოობს. ორივე ბანაკში სჭარბობს მოწინააღმდეგის ლანძღვა, კრიტიკულ-ცილისმწამებლური ვიდეო სიუჟეტების ჩვენება.

ანალოგიური ვითარებაა ბეჭდურ მედიაშიც, თუმცა, აქ ხელისუფლების კრიტიკოს გაზეთთა რაოდენობა გაცილებით მეტია, ვიდრე მეხოტბეთა.

სააკაშვილის მოწინააღმდეგე მედიაში ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მთელი საქართველო, ერი და ბერი, მუსიკოსი თუ სპორტსმენი, პოლიტიკოსი თუ მწერალი, ქრისტიანი თუ მუსლიმანი სააკაშვილისა და ნაცების წინააღმდეგ არიან დარაზმულნი — როგორც მთავარი მტრის, ერის დამაქცევრების.

სააკაშვილის მომხრე მედიაში სულ ქება-დიდება, ჟივილ-ხივილია ნაცთა მიერ შექმნილი წარმატებული ცხოვრებისა, აშენებულისა, აყვავებულისა, რომლის დანგრევა სურს მოწინააღმდეგეს.

მთავარ მოპაექრეთა კამპანიას თვით ლიდერები წარმართავენ. სააკაშვილი მოჭარბებულად აქტიურია. ხან ერთ ქალაქშია, ხან მეორეში, ხან მინდორშია, ხან ახალგახსნილ სამედიცინო დაწესებულებაში. აქტიურობაში მას უდავოდ ხელს უწყობს საპრეზიდენტო რესურსები. აქეთ-იქით ხეტიალში სააკაშვილი მომავალ არჩევნებში. მათი აზრით, ამომრჩეველი ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეეგუოს იმას, რომ მისთვის ყველაზე მისაღები პარტია „ნაციონალური-ა“, ყველაზე საჭირო მმართველი — სააკაშვილი.

მაგრამ ნაცთა სურვილი დაემთხვევა ამომრჩევლის სურვილს? რიგითი ამომრჩევლის სურვილი რომ ნაცთა სურვილს არ ემთხვევა, თანაც კარგა ხანია, ნაცთათვის არაფერს ნიშნავს. იმათ თავიანთი ამომრჩეველი ჰყავთ, არცთუ უმნიშვნელო, სახელმწიფო სტრუქტურები, ჯარი, პოლიცია, მიტმასნილი ბიზნესი, უცხოეთში მცხოვრებლები და ა.შ.

# ხელისუფლების ცვლა არჩევნებზე გადის(?!)



ჯობნის მოწინააღმდეგეს, რომლის გადაადგილება, სააკაშვილის შიშით, ტყვიაგაუმტარი მინით ხორციელდება, რაც თავისთავად იწვევს გარკვეულ დისკომფორტს.

თვით სააგიტაციო დღიური ნაკლებად განსხვავებულია ერთმანეთისგან, ისევე, როგორც სქემები და მეთოდები: მოგზაურობა რეგიონებში, მიტინგები, პოპულისტური დაპირებები და სხვ. დაპირებებში პირველ პლანზე პენსიონერები არიან — მათთვის პენსიების მომატებაზე „ზრუნვა“ ორივე სუბიექტისთვის მთავარია.

დაპირებების თვალსაზრისით „მეოცნებენი“ გაცილებით უკეთ გამოიყურებიან - მარტივი მიზეზის გამო — მათი გაკეთებული დიდი ქველმოქმედების გარდა, ჯერ არსადაა, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ გამოჩნდება. რაც შეეხება „ნაციონალებს“, საზოგადოებას სრული უფლება აქვს არ დაუჯეროს მათ — განვლილი რვაწლიანი დუხჭირი და შეურაცხმყოფელი არსებობის გამო.

ნაციონალები ყოყოჩობენ, რომ 8 წლის განმავლობაში ბევრი რამ გააკეთეს და თავიანთ გაკეთებულს სხვას არ დაანგრევინებენ. „ესღა გვაკლია ჩვენს მიერ გაკეთებულზე სხვები ვაზაირამოთო“, — დაახლოებით ასეთ განწყობაზე არიან „ნაცები“.

ამ მოსაზრებიდან გამომდინარე ჩანს, რომ მათ არათუ ამჟამინდელ არჩევნებში სურთ „გამარჯვება“, არამედ მრავალ თუ ამ რგოლში არ მოხდა მენტალური ცვლილება, ნაცების გამარჯვება შესაძლებელია.

სააკაშვილმა კარგად შეითვისა წინამორბედის დამარცხების მიზეზები და სახელმწიფო სტრუქტურებში მომუშავეთა შემოსავლები იმდენად გაზარდა — ავ თვალს არ ენახვება. კმაყოფილი სახელმწიფო სტრუქტურა — ნაკლებად მოფიქრალი ქვეყნის ბედ-იღბალზე, საკუთარი ამოვსებული კუჭით უდგება საქვეყნო საკითხებს. ეს სტრუქტურა თავს არ გაიწირავს, ივანიშვილისკენ არ გადაიხრება, თუნდაც მალულად, საარჩევნო კაბინაში სუბიექტების შემოხაზვის დროს. მისი ცხოვრება 8 წელიწადია, უზრუნველყოფილია.

არათანაბარი საარჩევნო მარათონი ფინიშისკენ მიემართება. მარათონის დროს არ შესრულებულა (ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობითძ ხელისუფლების დაპირება თანაბარი საარჩევნო პირობების თაობაზე. მართალია, არჩევნებში მონაწილე პარტიების წარმომადგენლები გვეკეკლუცებიან ტელეეკრანებიდან, მაგრამ მათი კეკლუცი ზღვაში წვეთია ნაცებთან შედარებით. ქუჩებში, საქალაქო ავტოტრანსპორტზე გამოკრულ ნაცთა „ჯილების“ სარეკლამო ბანერებზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. აქ ნაცებს ბადალი არ ჰყავთ. საერთოდ, ყველა რეკლამა მათ ხელშია, მთავარი რეკლამმახერის, ნაცი დავით კეზერაშვილის წყალობით.

მიმდინარე საარჩევნი მარათონი იმითაც არის გამორჩეული წინა არჩევნებისგან, რომ ხელისუფლება თავს უფლებას აძლევს, მუქარით განაცხადოს, რომ არსად წამსვლელი არ არის. ასეთ დროს რაღა საჭიროა არჩევნების ჩატარება? ან რა ლოგიკაა იმაში, რომ — „ჩვენს აშენებულს სხვას არ დავანგრევინებთ“? იქნებ ის „სხვა“ სულაც არ აპირებს ნაცთა მიერ აშენებული „საამური“ ცხოვრების დანგრევას? იქნებ მხოლოდ უკეთესობისკენ შეცვლის სურვილი ამოძრავებს და არა ნგრევის?

სააკაშვილის ფილოსოფიით, რახან ხელისუფლება „კარგად“ ართმევს თავს „აღმშენებლობას“, ის სამარადისოდ (ყოველ შემთხვევაში სანამ არ მობერდება) ქვეყნის სათავეში უნდა იყოს.

**ქართულ საზოგადოებას იმთავითვე უნდა სცოდნოდა, რომ მხარდაჭერილ სააკაშვილს ასე იოლად (არჩევნების გზით) თავიდან ვერ მოიშორებდა, არა იმიტომ, რომ სააკაშვილი „მაგარია“, არამედ კულისებში მოთამაშე სააკაშვილის მწვრთნელი ამერიკაა მაგარი. ქართული საზოგადოება ვერა და ვერ მიხვდა სად იწყება ჩვენი „ბედნიერება“. ვერ ხვდება, ამას „ოცნებაც“. ზედმეტი რევერანსი, ენის ჩლექა აშშ-ის მიმართ იწვევს იმას, რაც დღეს გვაქვს.**

**ქართული საზოგადოება ვერც იმას მიხვდა, რომ 2004 წლის ინაუგურაციისას სააკაშვილის ბათუმს, ქუთაისს წვევას, დავით აღმაშენებლის საფლავთან მისვლას სხვა ჩანაფიქრი ჰქონდა — ის მთელი საქართველოს მიერ არჩეული პრეზიდენტია, სახელოვანი ქართველი მეფის საქმის გამგრძელებელი ანუ აღმაშენებელი და რომ აღმშენებლობას ხანგრძლივი დრო სჭირდება. აკი, შეგვახსენა კიდევაც ახალმა „დავითმა“, რამდენი წელი მოანდომა დიდმა მეფემ თბილისის დაბრუნებას.**

ქართულ საზოგადოებას უნდა სცოდნოდა, რომ სააკაშვილისთვის კოჭის გორება ცუდად დაუბრუნდებოდა. დღეს, ხელზე კბენანი და მჯიღის გულზე ბრაგუნი უშედეგოა. ქართულ პოლიტიკას, განსაკუთრებით 2004 წელს სააკაშვილის გვერდში მდგომ პარტიებს უნდა სცოდნოდათ, რა ლიდერთან ჰქონდათ საქმე სააკაშვილის სახით. მაგრამ მაშინ მთავარი, პარლამენტში მოხვედრა იყო — ნებისმიერი გზით. იქნებ დღესაც იგივე სურვილია? იქნებ სწორედ ამით არის გამოწვეული „ოცნების“ კოალიციის ზოგიერთი წევრი პარტიისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება საზოგადოების იმ ნაწილის მხრიდან, რომელსაც ვერ გადაუწყვეტია ვის მისცეს ხმა?

**რა იქნება 1 ოქტომბერს? ამ კითხვას ზოგი ხმამაღლა, საჯაროდ სვამს, ზოგიც გულში, მაგრამ პასუხი არ აქვთ. იქნებ აქვთ და შიშით ხმამაღლა ვერ ამბობენ. ერთი მარტივი მიზეზის გამო — ხელისუფლების მიერ ზედმიწევნით დემოკრატიულად ჩატარებული არჩევნებიც კი (რაც თითქმის გამორიცხულია!) ოპოზიციის მიერ გაყალბებულად ჩაითვლება. ეს თავისთავად ტოვებს ერთადერთ გზას — ქუჩას.**

**რას მოიმოქმედებს ხელისუფლება? იმას, რასაც მრავალჯერ წარსულში? რა რჩება საზოგადოებას? რწმენა უკეთესი მომავლისა და იმისა, რასაც არაერთხელ ჰქონია ადგილი და რამაც არაერთხელ დაარწმუნა საზოგადოება, რომ ხელისუფლების ცვლა აქ არჩევნებზე არ გადის.**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.

## ინფორმაცია

### დავიცვათ დიდი ილიას მემორიალი



**კოალიცია „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ორგანიზაცია ილია ჭავჭავაძის მემორიალის აღდგენას და დასუფთავებას მოითხოვს.**

**ამასთან დაკავშირებით გუშინ ახალგაზრდულმა ორგანიზაციამ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან აქცია გამართა. ახალგაზრდული მოძრაობის ხელმძღვანელის ცოტნე ზურაბიანის განცხადებით, ილია ჭავჭავაძის მემორიალი მძიმე მდგომარეობაშია.**

**— დღეს შესრულდა 105 წელი ილია ჭავჭავაძის გარდაცვალებიდან. მაშინ, როდესაც ქვეყანაში შენდება კვერცხების და ლოკოკინების ძეგლები, უმჯობესია, ხელისუფლებამ ეს თანხები ილია ჭავჭავაძის მემორიალის აღდგენასა და დასუფთავებას მოახმაროს, რომელიც უპატრონოდ არის მიტოვებული, რაც ნათლად გამოხატავს ხელისუფლების დამოკიდებულებას ისტორიული მემკვიდრეობის მიმართ, — განაცხადა ზურაბიანმა.**

### ალასანია ახალაიას დებატებში იწვევს

**„ქართული ოცნების“ ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ირაკლი ალასანია ამავე რაიონში მმართველი გუნდის მაჟორიტარობის კანდიდატ როლანდ ახალაიას დებატებში იწვევს .**

**— მე ვთავაზობ ჩემს ოპონენტს, დავსხდეთ დებატებში. არა აქვს მნიშვნელობა, ეს იქნება ადგილობრივი ტელევიზიით, თუ რომელიმე ცენტრალური არხით. მთავარია, ზუგდიდელებს გავაგებინოთ, ვის რისი გაკეთება შეგვიძლია ჩვენი ქვეყნისთვის, — განუცხადა ალასანიამ ზუგდიდში, გამარჯვების ქუჩის მცხოვრებლებთან შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებს.**

**მისივე განმარტებით, „მიუხედავად ყველაფრისა„, ის ოპონენტს პატივს ცემს და ჯანსაღი კონკურენციის ტრადიციის დამკვიდრების სურვილი აქვს. — ამიტომ ვთხოვ როლანდ ახალაიას, მიიღოს ჩემი შეთავაზება და ღირსეული წინააღმდეგობა გამიწიოს ზუგდიდის უკეთესი მომავლისთვის ბრძოლაში, — აღნიშნა ირაკლი ალასანიამ.**

ინტერპრესი

## ხელოვნების მიზანი უბრალოა...

# გიორგი გაგნიძე საქართველოს სახელით მღერის

### სახელგანთქმული ბარიტონის შეხვედრა კათოლიკოს-პატრიარქთან

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მიიღო ცოტა ხნის წინათ მსოფლიოს საუკეთესო რიგოლეტოდ აღიარებული სახელგანთქმული ბარიტონი გიორგი გაგნიძე, რომელიც გერმანიიდან, სადაც უკვე რამდენიმე წელიწადია ცხოვრობს და მუშაობს, სამშობლოში ჩამოვიდა. შეხვედრა გამოირჩეოდა სითბოთი და გულითადობით. საუბარი შეეხო ქართველი ერის ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებს და თანამედროვე ხელოვნებისა და კულტურის განვითარების გზებს.**

გიორგისთან ერთად კათოლიკოს-პატრიარქთან სტუმრად იყო მისი მეუღლე მაია გოგოლაძე და მშობლები სულიკო გაგნიძე და მერი გუგბერიძე, რომლებიც პედაგოგები არიან. გიორგის, რომელიც ახლა ცხოვრობს გერმანულ ქალაქ ვაიმარში, 6 წლის წინათ შეეძინა ბიჭი დავით-საბა, არაფერში რომ არ ჩამორჩება საქართველოში მოვლენილ 10 წლის დას მარიამს... მომღერალს ხანდახან ნოსტალგია მოერევა. და ის არ უშვებს ხელიდან შესაძლებლობას მოილოცოს მშობლიური ადგილები. მაგრამ ამჯერად მას განსაკუთრებულად გაუმართლა – ჯერ მიეცა შესაძლებლობა ქართველი ერის სულიერი წინამძღოლისთვის მიელოცა ანგელოზის დღე და ემღერა მურმანის არია ზაქარია ფალიაშვილის ოპერიდან „აბესალომ და ეთერი“, ახლა კი ეს დაუვიწყარი სტუმრობა კვლავ პატრიარქთან...

ილია მეორემ, როცა გაიგო გიორგის მშობლების პროფესიის შესახებ, ყურადღება გაამახვილა ქვეყნის პედაგოგიური არმიის განსაკუთრებულ მისიაზე ღირსეული მამულიშვილების აღზრდის კეთილშობილურ საქმეში, შემდეგ კი შეეხო საზოგადოების სულიერ განვითარებაში ხელოვნების მაღალ დანიშნულებას.

კათოლიკოს-პატრიარქმა სტუმარს სთხოვა ემღერა რამე. და მან შეასრულა ძველი ქართული ხალხური სიმღერა „გუთნური“. კათოლიკოს-პატრიარქმა სტუმრებს საჩუქრები მიართვა.

ილია მეორემ დალოცა მომღერალი და მისი თანმხლები პირები, თან უსახსოვრა კომპაქტ-დისკები თავისი „ავე-მარიას“ და სხვა გალობების ჩანაწერებით, აგრეთვე წიგნი „დიდნი საქმენი“, რომელზეც მეცნიერები ორი წელი მუშაობდნენ...

შევახსენებთ, რომ ბარიტონმა გიორგი გაგნიძემ, ევროპაში წასვლის შემდეგ რამდენიმე წელიწადში საგრძნობ საერთაშორისო წარმატებას მიაღწია! გიორგი გაგნიძე ვოკალური შესაძლებლობებით და სცენური ინტერპრეტაციით აღიარეს რიგოლეტოს პარტიის მსოფლიოში საუკეთესო შემსრულებლად და ჩვენი დროის ერთ-ერთ გამორჩეულ ბარიტონად. ამის შესახებ წერს ავტორიტეტული გერმანული ჟურნალი „Opernwelt“-ი. პირველი გამარჯვება მან მოიპოვა ჯერ კიდევ 1995 წელს, როცა სამშობლოში მესამე ადგილი დაიკავა მუსიკოს-შემსრულებელთა რესპუბლიკურ კონკურსში.

– მაშინ ჩემი პედაგოგი იყო თამაზ ლაფერაშვილი,



კონცერტმაისტერი კი ვიქტორია ჩაპლინსკაია, – იგონებს გიორგი. – პირველი პედაგოგები კონსერვატორიაში შესვლამდე მყავდნენ პროფესორი დიზი ხელაშვილი და ჯონი სარალიძე. ვოკალური შესაძლებლობები 16-17 წლისას გამომივლინდა. კარგად ვუკრავდი ექვსსიმიან გიტარაზე, მრავალი სიმღერა ვიცოდი. მამაჩემიც ასრულებდა ხალხურ სიმღერებს და პროფკავშირების ანსამბლშიც კი გამოდიოდა... თანდათან ვირწმუნე ჩემი თავის და ჩავაბარე კონსერვატორიაში დიზი ხელაშვილის კლასში.

1994 წელს გაგნიძეს ჯანსუღ კახიძემ მოუსმინა და მიიწვია ოპერის სოლისტად. მაშინ მომღერალი 23 წლისა იყო... პირველ პარტიად ერგო „მურმანი“ ოპერიდან „აბესალომ და ეთერი“.

საოპერო სცენაზე გაგნიძის დებიუტი შედგა თბილისში ეროვნული თეატრის სპექტაკლში – ვერდის „ბალ-მასკარადი“.

სწორედ ჯანსუღ კახიძემ ურჩია ნიჭიერ ყმაწვილს საზღვარგარეთ გამგზავრება, რადგან ის აქ ვერ პოულობდა მთლიან დატვირთვას – წელიწადში მღეროდა არა უმეტეს 15 სპექტაკლში. იქ კი, ქალაქ ვაიმარში 2005 წელს გახდა ეროვნული თეატრის სოლისტი. უფრო ადრე კი ძალები მოსინჯა სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსებში. იყო წარმატებები, მაგრამ მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია პირველი პრემია იტალიურ ქალაქ ბუსეტოში გამართულ კონკურსზე „ვერდის ხმები“, სადაც მან თავი გამოიჩინა რიგოლეტოს პარტიის შესრულებით, ეს როლი იქცა მომღერლის სავიზიტო ბარათად მუსიკალურ ოლიმპზე. ჟიურიში იყვნენ სახელგანთქმული ხოსე კარერასი, საოპერო სცენის ვარსკვლავი კატია რიჩელი, თეატრ „ლა-სკალას“ არტ-დირექტორი ლუკა ტარჯეტი...

– რიგოლეტო – ვერდის რეპერტუარის ერთ-ერთი ურთულესი პარტიაა, – ამბობს გიორგი, – ხოსე კარერასი კი აღფრთოვანებული იყო ჩემი რიგოლეტოთი! მე პირველად ვიმღერე ეს პარტია ჯერ კიდევ გერმანიაში, როცა სრულიად ახალგაზრდა და გამოუცდელი ვიყავი...

საკონკურსო გამოსვლებისთანავე მიიპატიჟეს იაპონიაში, ესპანეთში. მიიღო მიწვევა ლა-სკალაშიც – 2007 წელს ნიუ-იორკის ფილარმონიის მაესტროსთან ლორინ მააზელთან ერთად ლა-სკალაში იმღერა „ტრავიატა“.

ამას მოჰყვა საკონცერტო ტურნე Avery Fisher Hall იმავე ლორინ მააზელის ხელმძღვანელობით – გიორგი გაგნიძემ შეასრულა სკარპიას როლი „ტოსკაში“. ქართველ დრამატულ ბარიტონზე ხმამაღლა ალაპარაკდა პრესა.

2008 წელს პარმაში ვერდის ფესტივალზე მომღერალმა ისევ რიგოლეტო შეასრულა... 2009 წლის 17 სექტემბერს – სკარპიას პარტია მეტროპოლიტენ-ოპერაში. ეს მოვლენა პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა 56 ქვეყანაში.

ამას მოჰყვა გამოსვლები ბარსელონაში („სოფლის პატიოსნება“ და „ჯამბაზები“ძ, ციურიხში („ტრავიატა“ძ, ვენაში („რიგოლეტო“ძ, მადრიდში („ტოსკა“ძ, „არენა დი ვერონას“ სცენაზე („ტრავიატა“ და „ტოსკა“ძ. გიორგი გაგნიძე მღერის ტოკიოში - სპექტაკლში „ტრუბადური“, ვენის თეატრში – „ნაბუკო“...

წლეულს, იანვარში მან ისევ გაიბრწყინა „მეტროპოლიტენ-ოპერის“ სცენაზე „სკარპიას“ როლში.

უახლოეს დროში მას ელოდება გამოსვლები იტალიაში სახელგანთქმულ თეატრ ლა-სკალაში. შემდეგ იქნება ბერლინი...

გიორგის აზრით, ადამიანი არ უნდა იყო ამბიციური, არ უნდა იფიქროს თავის თავზე იმაზე მეტი, რაც სინამდვილეში არის. მოკრძალებულ და ღვთისმოსავ ადამიანს უფალი ყველაფერს შეაძლებინებს...

გამომშვიდობებისას გიორგიმ უწმინდეს და უნეტარესს გაუზიარა სურვილები თავისი საქველმოქმედო საქმიანობის შესახებ, რაზეც მიიღო კიდეც ლოცვა-კურთხევა.

**ეს საგულისხმო შეხვედრა შედგა საპატრიარქოსა და ქალთა საზოგადოებრივი საქველმოქმედო ორგანიზაცია „ერთობის“ ინიციატივით, რომელსაც ია ქვათაძე ხელმძღვანელობს .**

**მამია ალაშვილი.**

ავტორის ფოტო.

## „სად წაიყვან სადაურსა“

# თეიმურაზ ბატონიშვილი

### (ბაგრატიონი; 1782-1846)

### კრებულიდან „100 ქართველი უცხოეთში“



**ძე მეფე გიორგი XII-ისა, მწერალი და მეცნიერი. დაიბადა საქართველოში (თბილისში). სწავლობდა თელავის სასულიერო სემინარიაში. 1803 წელს სპარსეთში გაიქცა, სადაც ცხოვრობდა ბიძასთან, ალექსანდრე ბატონიშვილთან.**

1810-ში სამშობლოში დაბრუნებული მალე პეტერბურგს გაემგზავრა, იქ მას წლიური ჯამაგირი და პენსია დაენიშნა. 1813 წელს ვასილის კუნძულზე შეიძინა საკუთარი სახლი, სადაც ცხოვრობდა გარდაცვალებამდე.

თეიმურაზ ბატონიშვილი ეწეოდა ფართო მეცნიერულ-ლიტერატურულ საქმიანობას, დაკავშირებული გახლდათ რუს პოეტებთან, მეცნიერებთან, შემოკრებილი ჰყავდა პეტერბურგში მოღვაწე ქართველი მწიგნობრები. 1830 წლიდან მეცნიერულად თანამშრომლობდა აკადემიკოს მ. ბროსესთან, ვისთან ერთადაც შექმნა პეტერბურგის ქართველოლოგიური სკოლა. თავად ეწეოდა ნაყოფიერ კვლევით საქმიანობას (ისტორიული ნაშრომი „ისტორია დაწყებითგან ივერიისა“ძ.

განსაკუთრებული ღვაწლი დასდო „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლასა და ტექსტის დადგენას (გამოიცა 1841 წელსძ, დაწერა ლექსები და პოემები, მემუარული ჟანრის ნაწარმოებები. თეიმურაზ ბატონიშვილი 1837 წელს აირჩიეს პეტერბურგის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად (ამ აკადემიას დაუტოვა ანდერძით თავისი წიგნები და ხელნაწერებიძ; იყო აგრეთვე პარიზის სააზიო და კოპენჰაგენის სამეფო ანტიკვართა საზოგადოებების წევრი. გარდაიცვალა პეტერბურგშივე.

მოამზადა

**თამაზ ებანოიძე.**

## ინფორმაცია



### ევროპა რუსული ხორბლის ექსპორტის შემცირების მოლოდინშია

**ევროპის ბირჟებზე ხორბლის ფასი იმავე მიზეზებით გაიზარდა, რა მიზეზითაც ჩიკაგოს ბირჟაზე ხორბლის ფასი გაძვირდა. საქმე ეხება, გავრცელებულ ინფორმაციას, რომ წელს რუსეთში ხორბლის ნაკლები მოსავალია, რაც ქვეყანას აიძულებს, გაცილებით ნაკლები ექსპორტი განახორციელოს ვიდრე გასულ წელს.**

**ხორბალზე ნოემბრის კვოტირება პარიზის ბირჟაზე 4,25 ევროთი გაძვირდა და ტონაზე 265 ევრო, ანუ 332 დოლარი შეადგინა. რაც შეეხება ლონდონის ბირჟას, იქ ნოემბრის კვოტირება 1,50 ფუნტით გაძვირდა და ტონაზე 204,75 ფუნტი, ანუ 324,20 დოლარი შეადგინა.**

**აღსანიშნავია, რომ წელს რუსეთი 4,3 მლნ ტონით ნაკლები ხორბლის ექსპორტს გეგმავს, ვიდრე ქვეყანამ 2010/11 სეზონზე განახორციელა.**

### აივინფექციით 50 წლის მამაკაცი გარდაიცვალა

**საქართველოში აივინფექციით კიდევ ერთი ადამიანი გარდაიცვალა. ექიმების მტკიცებით, 50 წლის მამაკაცის ჯანმრთელობის მდგომარეობა ვირუსზე თანდართულმა დაავადებამ გაართულა.**

**2012 წლის მდგომარეობით შიდსისა და იმუნოლოგიის ცენტრში დაავადების 2350 შემთხვევა აღრიცხა. აქედან 375 ახლად გამოვლენილია.**

### ავტოსაგზაო შემთხვევას 16 წლის მოზარდი ემსხვერპლა

**ავტოსაგზაო შემთხვევას გორის რაიონის სოფელ ხიდისთავში 16 წლის მოზარდი ემსხვერპლა.**

**ავტომანქანა ფეხით მოსიარულე მე-11 კლასის ორ მოსწავლეს დაეჯახა. ერთ-ერთი მათგანი ადგილზე დაიღუპა, მეორე კი სასწრაფო დახმარების ჯგუფმა გორის რაიონულ საავადმყოფოში გადაიყვანა. მას სხვადასხვა სახის მოტეხილობა აღენიშნება.**

**მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევაზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება.**

### ხანძარი ლისის ტბის მიდამოებში

**ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე გაჩენილი ხანძრის შედეგად, 8 ჰექტარის ფართობზე ბალახის საფარი დაიწვა.**

**როგორც საგანგებო სიტუაციების სამსახურის უფროსმა თემურ გიორგაძემ განაცხადა, ხანძრის შედეგად, არავინ დაშავებულა. მისი თქმით, ხანძრის ლოკალიზება 40 წუთში მოხერხდა.**

**ხანძარი ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე ბალახის საფარს ოთხშაბათს, დაახლოებით 22:00 საათზე გაუჩნდა.**

**თემურ გიორგაძის თქმით, ხანძრის გამომწვევი მიზეზები ცნობილი არ არის.**

ინტერპრესი



# სექსიზმის გარეშე, ბატონო პრეზიდენტო

## გენდერული უთანასწორობა ქართულად



ცხადია, ზოგიერთს მაქსიმალური თანაგრძნობისთვის, ტკივილის გაზიარებისა და გაჭირვებული, უბედური ადამიანების თაობაზე არა მხოლოდ ინტელექტუალური მსჯელობისთვის, ალბათ, იმ გზის გავლა სჭირდება, რომელსაც ეს ადამიანები გადიან. საქართველოს ათასობით კი არა, ათიათასობით მოქალაქე ქალი „ნათელი მომავლისა“ და „ბედნიერებისთვის“ სწორედ „ვესტრენიზაციის“, „ტრანფორმაციის“ ამ პროცესს გადის და სწორედ ამ ქალების (ბუნებრივია, მამაკაცებისას, მაგრამ ამ შემთხვევაში მე ქალებზე ვსაუბრობძ აღუწერელი გმირობით, ნაჯაფ-ნაოფლარითაა, უცხოეთიდან საქართველოს ბიუჯეტში ასობით მილიონი უცხოური ფულადი ერთეული რომ შემოდის და მათი ოჯახის წევრები, ახლობლები თუ მეგობრები უწამლობით, თუ უშუქობით რომ არ იღუპებიან, დაუქორწინებლები თუ გაუსვენებლები არ რჩებიან; ეკლესიების, სამორინეებისა და სუპერმარკეტების წინ შეგროვილი „მაწანწალა ბავშვებივით“ თუ „მაწანწალა ძაღლებივით“ ქუჩა-ქუჩა, კარდაკარ არ დაეხეტებიან და მათ გვამებს ქალაქის დასუფთავების სამსახური ისე არ პოულობს, როგორც არასასურველი ახალშობილების გალურჯებულ სხეულებს, ანდა უკიდურეს სასოწარკვეთამდე მისულნი, თავს ისე არ იწვავენ, როგორც ეს აფხაზეთიდან დევნილმა ნანა ფიფიამ საჯაროდ გააკეთა. პირადად თქვენ ანდა რომელიმე სახელმწიფო უწყების წარმომადგენელი ნანა ფიფიას ოჯახითა და ამ ადამიანების შემდგომი ბედით დაინტერესდით? არადა, საქართველო ხომ ის ქვეყანაა, რომელიც არც ისე დიდი ხნის წინ „ქალის კულტის“ ტერიტორიად მოიხსენიებოდა და სადაც სწორედ ქალის (დედისძ მიმართ ასევე საბრენდო სტუმარ-მასპინძლობით განთქმულ „ღვინის კულტურის“ სუფრაზე ყველაზე მგზნებარე სადღეგრძელოები ისმის და შეისმება?

სწორედ ამ ქალების გამოგზავნილი ფულითაა, რომ მათი შვილები და შვილიშვილები საშუალო სკოლებსა და უმაღლესებში სწავლობენ, ბათუმში ისვენებენ, სასკოლო ბუფეტში ფუნთუშასა და საფირმო მაღაზიებში ბოლო თაობის კომპიუტერებს ყიდულობენ; სწორედ ამ ქალების ფულითაა, რომ „ყველაზე ევროპულ ქალაქებში“ უცხოური ავტომობილების მფლობელებს სამოძრაო საწვავის ფული აქვთ, ხოლო მობილურის სატელეფონო კომპანიებს– მომხმარებელი ჰყავთ; სწორედ ამ ქალების დამსახურებაა, რომ საქართველოში კერძო საცხოვრებლების მშენებლობის ბუმია (ბევრი კი იმ სამშენებლო კომპანიის მფლობელების „სინდისიერების“ გამო ფინანსურად და მორალურად დაზარალდა, რომლის ერთ-ერთი წარმომადგენელი ახლა პარლამენტშია და გენდერულ საბჭოში საქმიანობსძ, საავადმყოფოები და ავტობანები შენდება. მაგრამ თქვენ, როგორც ქვეყნის პრეზიდენტს, პრობლემის გაგებისთვის, ჩაღრმავებისა და გადაწყვეტის გზების მოსაძიებლად ამ გზის გავლა, წესით, სულაც არ უნდა გჭირდებოდეთ, როგორც მსახიობს, რომელსაც როლის სრულფასოვნად დასაუფლებლად დამატებით ძალისხმევას ურჩევენ და თუ რეალურად თავად არ ჩავარდა ტალახიან წუმპეში და რამდენიმე დღე ზამთრის სუსხში, ქუჩაში უსახლკაროს ცხოვრებით არ იცხოვრა, კინოსცენარში მისთვის განკუთვნილ როლს კარგად ვერ შეასრულებს. ეს თქვენ არ გევალებათ. თქვენ ქვეყნის მთავარი კანონის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეებზე ზრუნვა და მათი უფლებების დაცვა გევალებათ. სად და როგორ მდგომარეობაშიც არ უნდა იყვნენ ისინი. თქვენ და თქვენს მეუღლეს, როგორც მშობლებს, არასოდეს გიგრძვნიათ, რას ნიშნავს, როდესაც შვილს ხუთი, ათი, ან სულაც, თხუთმეტი წელი ვერ ნახულობ. თქვენს მშობლებს არასოდეს გაუგიათ, „რა ხილია“ შვილიშვილის მორიგ დაბადების დღესა და ოჯახის წევრის გასვენებაზე სკაიპით „დასწრება“, თქვენი ოჯახის წევრი ახალგაზრდა გოგონა არასოდეს ყოფილა სექსმონობის ინდუსტრიის „ჭანჭიკი“; თქვენ არასოდეს მოგისმენიათ საქართველოში ტუბერკულოზით დაავადებული ოჯახის გადასარჩენად აშშ-ში ძაღლებთან ერთად ავტოფარეხში მცხოვრები ქალის ისტორია, რადგანაც ეს თქვენ არ გაინტერესებთ. თქვენ არ წაგიკითხავთ აშშ-ში ჩატარებული სოციოლოგიური კვლევა, რომელმაც ყველაზე დეპრესიულ პროფესიის წარმომადგენლებად მოხუცების მომვლელები, ძიძები და რესტორანში მიმტანები აღიარა. აღსანიშნავია ისიც, რომ გამოიკითხნენ მხოლოდ ისინი, ვინც ცივილიზებულად – რვა საათს და არა ის არალეგალი ქართველი ქალები, რომლებიც კვირაში შვიდჯერ 24 საათი მუშაობენ. ვის რაში აინტერესებს სხვისი დეპრესია, როცა მომავალი ასეთი „ნათელ-ჰეფიენდური“ ჩანს? „ჭეშმარიტებისკენ“ თუ „ტაძრისკენ“ მიმავალ გზაზე ამგვარი „წვრილმანები“ რა საყურადღებოა, როცა მთავარი მიზანი „იბერიის გაბრწყინებაა“. გაეროს ტრიბუნიდან საუბრისას, აბა, ეს ხალხი რა გასახსენებელ-სახსენებელია? სად ქვეყნის წარმატება და სად რძისგან მკერდგაჯირჯვებული, აუტანელი ტკივილისგან სახედამანჭული ახალნამშობიარები, „თვითდასაქმებული“ ის ქალი, რომელმაც თურქული სასმელის ყუთები სამშობლოში უნდა ჩამოიტანოს და 50–60 თეთრის „სავაჭრო მოგების“ წამატებით რომელიმე ბაზრობაზე ყინვასა და პაპანაქება სიცხეში დახლთან დგომით თუ გაუმართლა – გაყიდოს, თუ ძალიან გაუმართლა – ერთმაბაშად გაყიდოს და მარჩენალ თურქეთს რაც შეიძლება მალე დაუბრუნდეს... ოჯახის გამოსაკვები დაუსრულებელი რუტინის პირნათლად შესასრულებლად, რათა შუქის, გაზის, ინტერნეტის ფული გადაიხადოს და კიდევ – ბავშვის სასკოლო წიგნებისა და სკოლისკენ მიმავალი ტრანსპორტისთვისაც მორჩეს რაიმე. ჰო, რასაკვირველია, „ესენი“ საერთო სურათსა და ფონს „აფუჭებენ“, რადგანაც სახელმწიფო ბრენდი მხოლოდ მკაცრად სერთიფიცირებულობას ცნობს, ხოლო „უხარისხო პროდუქტი“, მათ შორის ღვინო, დასავლეთის პრეტენზიულ ბაზარს კი არა, რუსეთის მთავარ სანიტარსაც კი არ მოსწონს....

ქართული „სოციალური სახელმწიფოს“ კულტურულ-პოლიტიკური კონცეპტის მაგალითი, რომელიც მედია-სიუჟეტებში მრავლადაა ადამიანისა და სახელმწიფოს, პიროვნებისა და იდეოლოგიზებული სისტემის, მე (ჩვენ) – ის (ისინიძ, გარდაცვლილი მშობიარისა და ცოცხალი პოლიციელის ფიგურის „ჰარმონიული“ ურთიერთმიმართება – თანაარსებობით ყველაზე ნათლად და მარტივად აიგება. უცებ აღმოჩნდა, რომ ფონის გამფუჭებლები ხანდახან მაინც საჭირონი არიან, რათა მოსახლეობამ თუ შინაურმა მღვდელმა კონტრასტი და მეინსტრიმული პროფესიის (წესრიგის, სამართლის, უსაფრთხოების დამცველიძ სიკეთე კარგად დაინახოს... მაგალითად, ტარაკან-ბუზებიანი და უმედიკამენტო კლინიკა, სადაც დაბალი სოციალური წრის მშობიარე (იგი პოლიტიკური „ისტებლიშმენტის“ წარმომადგენლების მეუღლეების მსგავსად სამშობიაროდ ძვირადღირებულ ლოკალურ ან დასავლურ კლინიკებში, ბუნებრივია, ვერ იმშობიარებდაძ არასათანადო და არადროული სამედიცინო მომსახურების გამო გარდაიცვალა, ამ ქალის ოჯახის წევრების მოთქმა კი „სამშობიარო ბლოკისა“ თუ „კლინიკის“ მოსაცდელის პირველი მსოფლიო ომისდროინდელი კატაკომბის მსგავს, ჩამოღლეტილ კედლებს ბზარავდა. მომავალი თაობის დაბადების ტერიტორიის შესახებ „ნეორეალისტური ფილმის“ შემდეგ კი მიჯრით ჩნდება ტელეკადრი – სუფთად და ლამაზად, შარვალკოსტუმ-ჰალსტუხში გამოწყობილი, კომპიუტერებიან კაბინეტში, ანდა გამჭვირვალე შსს-ის შენობის წინ მდგომი პირგაპარსული, თმადავარცხნილი გამომძიებელი მამაკაცის სახე (ის არა ჰგავს თქვენი ესთეტიკისთვის შეუსაბამო სატვირთო მანქანის გაუპარსავ მძღოლსძ, რომელიც ამბობს, რომ პროკურატურა ქალის სიკვდილის მიზეზებს აუცილებლად გამოიძიებს, დამნაშავეებს კი დასჯის. და ასე სიუჟეტიდან-სიუჟეტში, სიკვდილიდან – სიკვდილამდე. სახელმწიფოს მაღალანაზღაურებადი რაინდი, რომელიც შურს იძიებს იმათზე, ვისი ბრალითაც ქალმა თავისი მთავარი დანიშნულება – დედობა ვერ „შეასრულა“. სიკვდილისა და ერთი სახელმწიფო ინტიტუციის მუშაობის გამართულობის ამგვარ კონტრასტზე აგებული „კულტურაცია“ კიდევ ერთი მყარი მატრიცაა, რომელიც პათოსით მანიპულაციასა და სტერეოტიპების ტირაჟირებაზეა აგებული. ჩვენ უნდა „ვიწამოთ“, რომ ქვეყანას თავისი საქმის თეთრსაყელოიანი პროფესიონალები ისევე სჭირდება, როგორც – „ადამიანური რესურსი – ბალასტი“, რომ ამ უკანასკნელთა მიერ გამომუშავებული „პროდუქტი“ – შთამომავლობა და ფული დეკლარირებულად ღირებულია, მაგრამ თავად ისინი, როგორც პიროვნებები – არა. ისინი შეიძლება მოკვდნენ მშობიარობისას ანდა აშშ-ში უმუშევრობის გამო ნერვიულობისას მოწოლილი სისხლის ჭავლის დარტყმით ნაფლეთებად გადაქცეული გულის კუნთის გამო, მაგრამ რა ვქნათ, მათ არ გაუმართლათ, არავინაა დამნაშავე მათ „ასოციალურ“ უიღბლობაში: „ისინი“ არიან ვილაცები, სხვები, არალეგალები, მშობიარეები, დედები (მოდელების დედებიცძ, ქალები, მარჩენალები, გადახვეწილები, გადავარდნილები, შორებლები, უცნობები, მარგინალები, რომლებიც ინფანტილურ „ალფონს“ სახელმწიფოს ყოველგვარი უკუგების მოლოდინის გარეშე დააპურებენ, ჩააცმევენ და ტურისტული ბუკლეტის ხატოვან ფოტოსურათად გადააქცევენ, რათა მასკულინურ მეგამტერზე ჩვენებური ეკონომიკურ-გლამურული შურისძიება სწორედ ასე განახორციელოთ. მერე რა, რომ ამ ქალებს საკუთარი თავის რეალიზაცია თურმე მხოლოდ ასე „შეუძლიათ“ და თურმე ოჯახები და სამშობლო ნებაყოფლობით მიუტოვებიათ; მერე რა, რომ პროფესიული დისკვალიფიკაცია მათი ხვედრია; მერე რა, რომ ცხოვრობენ ჩემი ნაცნობი მაჰმადიანი მესხი ქალის დარად, რომელიც ჯერ როცა მცირეწლოვანი იყო საქართველოდან შუა აზიაში გადაასახლეს; მერე იქაური „პაგრომების“ გამო თავის სანატრელ სამშობლოში დაბრუნდა და აფხაზეთში დასახლდა, საიდანაც 1990 - იანებში იძულებული იყო ომს გაქცეოდა; მერე რა, რომ იგი და მისიანები თბილისში „საერთო საცხოვრებლიდან“ შეიარაღებულმა „რაინდებმა“ ძალის გამოყენებით გამოაგდეს და ამიტომ იძულებული გახდა, თურქეთში გადასახლებულიყო, ხოლო დღეს მისი მცირერიცხოვანი ოჯახი აშშ-ის, კანადისა და იტალიის ოჯახებშია მიმოფანტული. შინამოსამსახურეებად, სხვათა შვილიშვილების გამზრდელებად, მტვირთავებად... მერე რა... ერთი ცნობილი ფემინისტი ქალის სიტყვებისა არ იყოს: „ქალს სამშობლო არა აქვს“. საქართველოში „ქალური“ და „მამაკაცური“ საქმეების პოლიტიკურ-სოციალურ-კულტურული თუ ეკონომიკური დიქოტომია ამ თეზისს კიდევ ერთხელ ადასტურებს. „ცა-ფირუზხმელეთ-ზურმუხტი“ სამშობლო არსებობს, მაგრამ სადღაც. შეიძლება ახლოს, შეიძლება – შორს, ოღონდ მხოლოდ გამორჩეულთათვის; იმათთვის, რომლებსაც ძირი შეიძლება ტკბილი არ ჰქონდათ, კენწერო კი გაუტკბილდათ, მაგრამ უიღბლოთათვის – არა. არა იმათთვის, ვინც არ იცის სადაა კენწერო, სად ეძებოს იგი და მით უმეტეს, მის გატკბილებაზე არც და ვერც კი უოცნებია, რადგანაც „ასწავლეს“, რომ ესაა მათი ბედისწერა, ხვედრი და „ქალური ბედნიერება“.

**სწორედ ამ ქალების გამოგზავნილი ფულითაა, რომ მათი შვილები და შვილიშვილები საშულო სკოლებსა და უმაღლესებში სწავლობენ, ბათუმში ისვენებენ, სასკოლო ბუფეტში ფუნთუშასა და საფირმო მაღაზიებში ბოლო თაობის კომპიუტერებს ყიდულობენ...**

**ია მერკვილაძე,**
„ს.რ“-ის საკუთარი კორესპონდენტი
აშშ, ნიუ იორკი.

(დასასრული იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 165

## ინფორმაცია

### ბრიუსელში ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა გაიმართა

ბრიუსელში ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა გაიმართა, რომელსაც ნატოს გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი და ნატოს წევრი ქვეყნების ელჩები ესწრებოდნენ.

საქართველოს ელჩმა ნატოში გეგა მგალობლიშვილმა ნატოს წევრი სახელმწიფოების ელჩებს მიაწოდა ინფორმაცია საქართველოს ტერიტორიაზე საქართველო-რუსეთის საზღვრის დაღესტნის მონაკვეთიდან 20-მდე შეიარაღებული დივერსანტის შემოსვლისა და დევნის ოპერაციის მიმდინარეობის შესახებ.

კომისიის სხდომაზე საუბარი შეეხო რეგიონალურ უსაფრთხოების საკითხებს. კომისიაზე ქვეყანაში არსებულ წინასაარჩევნო ვითარებაზეც შეაჩერეს ყურადღება.

### დავით გამყრელიძე კენჭს ვაკეში იყრის

„ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი დავით გამყრელიძე ვაკის მაჟორიტარობის კანდიდატი იქნება . დავით გამყრელიძემ „ახალი მემარჯვენეების“ თბილისის მაჟორიტარობის კანდიდატები დაასახელა. მისი თქმით, საბურთალოზე კენჭს მამუკა კაციტაძე იყრის, დიდუბეში – გიორგი ლორთქიფანიძე, გლდანში – ავთანდილ სულაქველიძე, ნაძალადევში – გიორგი ჩიბუხაშვილი, ჩუღურეთში – გიორგი საბანაძე, კრწანისში – ლევან ხურცილავა, ისანში – რევაზ სოხაძე. „მემარჯვენეებს“ მაჟორატირობის კანდიდატები სამგორისა და მთაწმინდის რაიონებში არ ეყოლებათ. როგორც დავით გამყრელიძე აცხადებს, ამ ორ რაიონში „მემარჯვენეები“ მაჟორიტარების წარსადგენად მზად არ აღმოჩნდნენ.

– „მემარჯვენეები“ მაჟორიტარად წარდგენისას აქცენტს საკუთარი გუნდის წარმომადგენლებზე ვაკეთებთ, იმ ადამიანებზე, რომლებმაც წლების განმავლობაში დაამტკიცეს ერთგულება პრინციპებისა და გუნდის მიმართ და აქვთ უნარი, ზედმეტი ხმაურის გარეშე აკეთონ საკუთარი რაიონისთვის და თანამოქალაქეებისთვის საჭირო საქმე, – განაცხადა გამყრელიძემ.

ინტერპრესი

№166. პარასკევი, 31 აგვისტო, 2012 წელი.

განსჯა

## სერგეი მარკედონოვი:

# საბჭოთა მემკვიდრეობის გაყოფის პროცესი ბოლომდე არ დასრულებულა

**ვაშინგტონის სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრის (CSIS) მიწვეული მეცნიერი, რუსული და ევრაზიული პროგრამის თანამშრომელი სერგეი მარკედონოვის აზრით, „საბჭოთა მემკვიდრეობის გაყოფის პროცესი ბოლომდე არ დასრულებულა“.**

ამის შესახებ მარკედონოვი The National Interest-ში გამოქვეყნებულ სტატიაში „საბჭოთა მემკვიდრეობის გაყოფა“ წერს, რომლის ქართულ ვერსიას Foreignpress აქვეყნებს.

„აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ხუთდღიანი ომის დაწყებიდან ოთხი წელი შესრულდა. დღემდე გრძელდება კამათი იმაზე, თუ ვინ ისროლა პირველმა და რუსი და ქართველი ლიდერების პასუხისმგებლობის სა-



კითხი დღემდე აქტუალურია. ამჟერად, ყურადღების ცენტრში ომისთვის მზადებაზე პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის განცხადებები მოექცა. პუტინის კომენტარების გარეშეც, ცხადია, რომ მოსკოვმა უპასუხა საქართველოს მცდელობას, 1990-იან წლებში ჩამოყალიბებული სტატუს-კვო დაერღვია და რომ პასუხისმგებლობა „კონფლიქტის გაღვივებაზე“ მხოლოდ ერთ მხარეს ვერ დაეკისრება. იმავდროულად, დებატები „ცუდ ბიჭებსა“ და „აგრესიის მსხვერპლზე“ სერიოზულ დაბრკოლებას უქმნის ადეკვატურ გააზრებას უფრო მასშტაბური პოლიტიკური პროცესებისა, რომელსაც ხუთდღიანი ომი მოჰყვა — მოვლენა, რომელმაც რუს და ქართველ ლიდერებს შორის მტრობა გააჩინა. **დროა, შეწყდეს ამ რთული მოვლენის აღქმა ისეთ პრიზმაში, როგორიცაა უდიდესი პერსონალური მტრობა. ამ ხუთდღიანი ომის შედეგები, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტები, ისევე როგორც სხვა ეთნო-პოლიტიკური დავები, საბჭოთა კავშირის დაშლის კონტექსტში უნდა განვიხილოთ“,** — მიიჩნევს მარკედონოვი.

მისი აზრით, „სსრკ-ის გაქრობა და ახალი დამოუკიდებელი ერთეულების შექმნა ავტორიტარიზმიდან დემოკრატიაზე რეალურ გადასვლას არ ნიშნავდა და ამ პროცესს საფუძვლად კვაზი-ფედერალისტური სახელმწიფოს ნანგრევებზე ახალი ნაციონალური სახელმწიფოების ფორმირება ედო“.

**„პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოებისთვის პირველი ამოცანა მათი საზღვრების განსაზღვრა, ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობის დაწყება და ახალი პოლიტიკური იდენტობის შექმნა გახდა. ამ ქვეყნებს მთელი რიგი პრინციპული საკითხებისთვის უნდა ეპასუხათ: ვისთვის გახდება ეს ახალი სახელმწიფო „ჩვენი“? ვინ შეიძლება მასში — მოქალაქედ და ვინ უცხოელად ჩაითვალოს? ამგვარად, ევრაზიის ახალმა ქვეყნებმა მე-20 საუკუნის ბოლოს იმ ამოცანების გადაჭრა დაიწყეს, რომელიც ცენტრალური, აღმოსავლეთის და სამხრეთ ევროპის ქვეყნებმა ნახევარი საუკუნით ადრე გადაწყვიტეს. მაგრამ ამ ევროპულმა ქვეყნებმა დემოკრატიზაციის საკითხებზე კონცენტრირება მხოლოდ ეთნიკური დაძაბულობისა და შეტაკებების გადატანის და პოლიტიკური იდენტობის პოვნის შემდეგ შეძლეს. შესაბამისად, როდესაც ვლაპარაკობთ ევრაზიულ კონფლიქტებზე სსრკ-ის დაშლის შემდეგ, ჩვენ ისინი არა 1974-1981 წლების ესპანური, პორტუგალიური ან ბერძნული გარდამავალი პერიოდების საფუძველზე უნდა გავაანალიზოთ, არამედ უფრო ადრეული, ომამდელი ისტორიული კატაკლიზმების გათვალისწინებით სუდეტში, ცეშინში, დანციგსა და მემელში. 1991 წლის დეკემბერში რუკიდან გაქრა სახელმწიფო, რომელსაც მსოფლიოს ტერიტორიის ერთი მეექვსედი ეკავა. საბჭოთა სახელმწიფოს ინტეგრაციული პოტენციალის და გამაერთიანებელი იდეოლოგიის დაკარგვამ, რომელსაც საბჭოთა კომუნიზმი წარმოადგენდა, სსრკ-ის ყოფილ რესპუბლიკებში ეთნო-ნაციონალური თვითგამორკვევის პროცესის პროვოცირება მოახდინა. არარეალურია იქიდან ამოსვლა, რომ ამ ქვეყნების მხრიდან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ პროცესი მხოლოდ ყოფილი კავშირის საზღვრების ფარგლებში წარიმართება. ახალ დამოუკიდებელ რესპუბლიკებს იმის დამტკიცება მოუხდათ, რომ მათი საზღვრები, რომელიც საბჭოთა სახალხო კომისრებმა გაავლეს, ფიქტიური არ იყო. ხოლო ახალ ეროვნულ სახელმწიფოებს დომინანტური ეთნიკური ჯგუფებით, რომლებსაც საბჭოთა პერიოდში „ტიტულოვნებს“ უწოდებდნენ, მრავალრიცხოვანი ეთნიკური უმცირესობისგან აღიარებისთვის აუცილებლად უნდა მიეღწიათ. სწორედ აქედან მოდის ეს უკიდურესი ეთნო-ნაციონალიზმი, მკვეთრი პოლიტიკური რიტორიკა და პოპულიზმი, რომელიც ნორმად იქცა“,** — წერს რუსი ექსპერტი და დასძენს, რომ 1990-იანი წლების დასაწყისს უკავშირდება კონფლიქტების პირველი ტალღა, როდესაც ახალმა ერთეულებმა, რომლებიც დე ფაქტოდ არსებობდნენ, ეთნო-პოლიტიკური თვითგამორკვევის საკუთარი ხედვა წარმოადგინეს და ის ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ხედვას ეწინააღმდეგებოდა, დროებითმა პაუზამ საბრძოლო მოქმედებებში რევანშისტული განწყობები ვერ შეაჩერა და შედეგად, მხარეები, რომლებიც თავს დამარცხებულად გრძნობდნენ, შეჩერებული კონფლიქტების ხელახლა გაჩაღებას შეეცადნენ.

**„ასე მოხდა ჩეჩნეთში 1999-2000 წლებში, ხასავიურტაში — 1996 წელს. იგივე მოხდა საქართველოში 2004 წელს, თუმცა რუსეთისგან განსხვავებით, იქ ცენტრალური ხელისუფლება დამარცხდა. თუმცა, რუსეთის და საქართველოს შედარებისას მათი სეპარატისტული პრობლემების კუთხით, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ წუხილი გამოვთქვათ იმაზე, რომ თბილისმა თავისი საშინაო და საგარეო რესურსების კომპეტენტური შეფასება ვერ შეძლო. ერთია, რუსი ლიდერების მანერების გადაღება მედიისა და ოპოზიციისადმი დამოკიდებულების მხრივ და აბსოლუტურად სხვა — ფართომასშტაბიანი გეოპოლიტიკური სტრატეგიის განხორციელება. ამგვარად, 2008 წლის მოვლენების შემდეგაც კი, კომუნისტური პარტიის და საბჭოთა მთავრობის მიერ გავლებულმა ყოფილმა რესპუბლიკათშორისმა საზღვრებმა ეს სახელმწიფოები საფუძვლიანად ვერ გამიჯნა. საბჭოთა მემკვიდრეობის გაყოფის პროცესი ბოლომდე არ დასრულებულა. მეტიც, 2008 წლის ხუთდღიანი ომის შემდეგ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ნახევრადაღიარებული სახელმწიფოები გახდნენ, გადაურჩნენ რა საერთოდ არაღიარებული ერთეულების ბედისწერას. იმავდროულად, რეგიონი როგორმე უნდა გაუმკლავდეს იმ სხვა ერთეულების მისწრაფებებს, რომლებსაც დღემდე არანაირი ოფიციალური აღიარება არ მიუღიათ. როგორც ჩანს, ეს არის ხუთდღიანი ომის მთავარი შედეგი, საეტაპო მოვლენა საბჭოთა კავშირის ნანგრევებში ნაციონალური სახელმწიფოების ჩამოყალიბების პროცესში“,** — წერს მარკედონოვი და დასძენს, რომ „მხოლოდ მას შემდეგ, რაც ყველა ეს სასაზღვრო დავა გადაწყდება და ყველა მხარე კომპრომისს მიაღწევს, ჩვენ შევძლებთ ვილაპარაკოთ იმაზე, რომ ევრაზიაში საბჭოთა ისტორია დასრულდა“.

**ნინო ჩიჩუა,**

**„პირველი“**



## დედამიწის ზურგზე

### ავტორიტეტულმა ფრანგმა მწერალმა შეაქო ბრეივიკი: ნორვეგიამ ის დაიმსახურა



ისეთი გამონათქვამების ნებას, რაც მწერალმა რიშარ მილემ გააკეთა, თავს არ მისცემდნენ თვით ულტრანაციონალებიც კი. „მას უბრალოდ თავგზა აებნა“, — გაოცებული ამბობენ მილეს კოლეგები. „ანდრეს ბრეივიკის ლიტერატურული შექების“ ავტორი უკვე იყო ერთ-ერთი სკანდალის ცეტრში გასულ გაზაფხულზე, როდესაც დაწერა ბაშარ ასადის მხარდამჭერი ტექსტი.

### აშშ-ში 100 წლის მძღოლი „კადილაკით“ შეიჭრა მოსწავლეთა ჯგუფში, გაიტანა 11 კაცი




პოლიციის მონაცემებით, ინციდენტის მიზეზი გახდა ის, რომ მოხუცმა მძღოლმა უბრალოდ ვერ მოახერხა დროულად რეაგირება. თავად საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის დამნაშავე კი დარწმუნებულია, რომ მის ავტომობილს მუხრუჭებმა უმტყუნეს. ამ დროს 11 დაზარალებული, რომელთაგანაც 9 ბავშვია, ჰოსპიტალიზებულია. ოთხი მათგანი მძიმე მდგომარეობაშია.

### ბავშვის მკვლელს ორთოდოქსი ებრაელების სათემოდან აშშ-ში სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს



დამნაშავეც ამ სათემოს ეკუთვნოდა. შარშან ივლისში 8 წლის ლეიბი კლეცკის გზა აებნა, ის პირველად მიდიოდა დამოუკიდებლად სახლში სკოლიდან. მან გზის სწავლება სთხოვა მეზობლად მცხოვრებ არუნს. რამდენიმე დღის შემდეგ აღმოაჩინეს ბავშვის დანაწევრებული სხეულის ნაწილები.

### ავღანელმა ჯარისკაცმა სამი უცხოელი სამხედრო მოსამსახურე დაცხრილა, ალბათ ისინი ავსტრალიელები იყვნენ



ასეთი დასკვნის გაკეთების საბაბს იძლევა ავსტრალიის თავდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებული განცხადება, რომელშიც ადასტურებენ „ავსტრალიელი სამხედროების დაღუპვას“. თუმცა განცხადებაში არ არის ინფორმაცია დახოცილთა ოდენობის შესახებ. „ისაფის“ სარდლობა არ აზუსტებს დაღუპულთა ეროვნებას.

### თეთრმა სახლმა მაღალი შეფასება მისცა რომნის მეუღლის გამოსვლას რესპუბლიკური პარტიის ყრილობაზე



ენმა „წარმოთქვა სიტყვა და ისაუბრა თავისი ურთიერთობის შესახებ ქმართან, იმის შესახებ, თუ რამდენად მყარია მათი ქორწილი, როგორ ძალიან უყვარს თავისი ქმარი. ის შესანიშნავად ლაპარაკობდა ამის შესახებ, გამოვიდა მეტად ეფექტიანად. მაგრამ ჩვენ მივცემთ მაყურებლებსაც და ამომრჩევლებსაც არჩევანს, თუ რას ფიქრობენ ისინი რომნი-რაიანის წყვილზე, ასეთი განცხადება გააკეთეს მმართველ პარტიაში.

### „ზღვის კატა“, რომელმაც დაწერა მემუარები ბინ ლადენის დაღუპვის შესახებ, შეინიღბა და გამოჩნდა ტელევიზიაში




ყოფილი სპეცნაზელი ამერიკის არხისთვის მიცემულ ინტერვიუში საუბრობდა სპეციალური ოპერაციის შესახებ და ირწმუნებოდა, რომ შორს არის პოლიტიკისგან. მაგრამ ზოგიერთი უკვე გაეცნო მარკ ოუენის (ის ამ ფსევდონიმით არის ცნობილი) წიგნს „რთული დღე“: მასში ავტორი აკრიტიკებს ბარაკ ობამას და საუბრობს იმ წყენის შესახებ, რაც მან მიაყენა „კატებს“.

# სერგეი კრემლიოვი

# დიდი ბერია

### რამდენიმე თავი ახალი წიგნიდან




ჩემი პოზიცია კი ხისტად განისაზღვრება: ბერიას ბოროტი საქმეები, ისევე როგორც სტალინის ბოროტი საქმეები არსებობს ოდენ მათ ბოროტულ და ბოროტგანზრახულ მითოსთხზვაში, ვისთვისაც საერთოდაც მძლავრი, დამოუკიდებელი, ჩინებული, აყვავებული რუსეთის სახელმწიფო — ბოროტებაა.

1917 წელს ასეთი სახელმწიფოს მერმისისთვის უალტერნატივო გახლდათ ლენინი. შემდეგ დადგა სტალინის ჟამი... კალინინი სიკვდილისწინა წერილში „პოლიტბიურო, ამხანაგ სტალინს“, 1946 წლის 3 ივნისამდე გაგზავნილში, ადასტურებდა:

„ავადმყოფობასა და სიკვდილის მოლოდინს არ შეუსუსტებია ჩემი ინტერესი ჩვენი ქვეყნის ბედ-იღბალისადმი, განსაკუთრებით უახლოეს მომავალში. ჩემის ღრმა რწმენით, ნათელი მერმისის უზრუნველყოფის მთავარ ელემენტად ამხ.სტალინის ხელმძღვანელობა უნდა მივიჩნიოთ... ლენინის გარდაცვალების დღიდან ჩვენი პოლიტიკა და ქცევა მტკიცედ მაქვს პერსონიფიცირებული ამხ.სტალინის სახით. ამისკენ მიბიძგებდნენ არა პირადი დამოკიდებულებები ან მოტივები, არამედ ღრმა რწმენა, რომ მხოლოდ ის გაუმკლავდება როგორც სახელმწიფოებრივი, ისე პარტიული ხასიათის სიძნელეებს... სხვა პრეტენდენტებს სერიოზულად არ მივიჩნევდი...“ არა მგონია, რომ საჭიროა რაიმეს დამატება კალინინის კონსტატაციაზე.

და როგორც ბელადი გახლდათ სიმწიფის პერიოდში ქვეყნის უალტერნატივო ლიდერი, რომელსაც ერთადერთს შესწევდა წარმატებებისკენ მისი წაყვანის უნარი, ასევე 54 წლის ბერია 1953 წლისთვის ობიექტურად იყო ერთადერთი სტალინის თანამებრძოლთაგან, ლენინ-სტალინის საქმის სრული წარმატების უზრუნველყოფის შემძლე; ესე იგი — რუსეთის საბოლოო, ვერავისგან და ვერაფრით დარღვევადი აყვავებისა.

ჰოდა იმისთვის, რომ ეს ჭეშმარიტება ვერ ქცეულიყო დაუჯერებელ ფაქტად, ბერია მოსპეს; სხვანაირად, გავიდოდა ერთი წელი, მეორე და ყველასთვის ცხადი გახდებოდა: ქვეყნის სათავეში ლავრენტი პავლოვიჩი უნდა იდგეს.

და რამდენადაც ბერიას მოსპობაში ამა თუ იმ მონაწილეობის მიმღები ყველა პირი აღმოჩნდებოდა დამნაშავე არსებულ სახელმწიფო წყობილებასთან, ანუ აღმოჩნდებოდა სახელმწიფო დამნაშავე — ამის დასაფარავად საჭირო იყო ბერიას წარმოდგენა თანამედროვეთა და მეტადრე შთამომავალთა თვალში „ჭინკების რაინდად“, „ყველა ბორკილის გასაღებად“, „ბარბაროსად, ბოროტმოქმედად“ და „ჯალათად“.

ლავრენტი პავლოვიჩის ფიზიკური მოსპობის შემდეგ საჭირო ხდებოდა დაუყოვნებლივ, დროის რეალურ მასშტაბში, მისი სრული დემონიზაციის დაწყება; და მხოლოდ როგორც 1953 წლის ნიმუშის რუსეთის, ისე მომავალი თაობების დარწმუნებით, რომ ლავრენტი ბერია „ჯალათია“, „ურჩხულია“, „ჯოჯოხეთის ნაშიერია“, „მავნეა“, „სიმახინჯეა“, „სექსუალური მანიაკია“, „სადისტია“, „გამხრწნელია“, „სატანისეულია“ — ნომენკლატურას შეეძლო რაღაც ისტორიული დაფნის გვირგვინის იმედის ქონა.

დაფნის გვირგვინი რას მიქვია! — მთავარია — ახლა შეიძლებოდა მშვიდად ყოფნა, როცა იცოდი, რომ უკვე ველარავინ სერიოზულად ვერ შეანჯღრევს ახალი იდეებითა და გამუდმებული ინიციატივებით უმაღლეს პარტოკრატიულ ჭაობს, კეთილდღეობის მსხვილი წყლის ფენით რომ იფარებოდა...

ამასთან ბერია ცხოვრებიდან ერთიანად უნდა ამოგეშალა — რომ ამიერიდან, ვინც არ უნდა ყოფილიყო, ჩაეკლა მისთვის გულწრფელად, ინიციატივიანი და მოქმედი საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის გატარების წადილი.

სტალინის პოლიტიკაში ზოგჯერ იყო ზედმეტი სიხისტე და სისასტიკე, ზოგჯერაც სერიოზული შეცდომები (როგორც, მაგალითად, ომის დასაწყისში ტყეების გადაწვის მოწოდება და ა.შ.), მაგრამ პირფერობა და სიყალბე არასოდეს არ ყოფილა! ხელისუფლებაში ხრუშჩოვისა და ხრუშჩოველთა მოსვლით კი ეს სიყალბე პარტიულ-სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს დონეებზე სულ უფრო ძლიერდებოდა და გორბაჩოვის ხანებში ტოტალური გახდა!

ეგ კია, რომ ყველაფერი, რისი გაკეთების ნების მიცემაც შეძლო საკუთარი თავისთვის პოსტსტალინურმა ნომენკლატურამ — ეს მისი როლისა და სიდიადის დაკნინება იყო, XX ყრილობის სიბინძურეში მისი სახელისა და საქმეთა ამოსვრით; ოღონდ „დემოკრატებიც“ უძლური აღმოჩნდნენ ბელადის ტოტალური დემონიზაციის ამოცანასთან. ჩერჩილის ერთი შეფასება სტალინისა, ამ უკანასკნელის სიკვდილის შემდეგ გამოთქმული, „დემოკრატებს“ მთელ თამაშს უფუჭებდა. არადა, სერ უინსტონს „წითელ-ყავისფერებში“ ხომ ვერ ჩასწერ!

აი, ბერიასთან კი ეს „ფოკუსი“ გაუვიდათ; და ერთხანს გვეგონებოდათ, რომ სამუდამოდ.

და მაინც, ისტორიის ქარი — ეს ისტორიის ქარია და გამორჩენილ ფიგურათაგან ჭუჭყისა და ნაგვის ნებისმიერი გროვის ჩამოწმენდის შემძლე. წმენდს კიდევაც.

სტალინმა თითქმის ყველაფერი გააკეთა, რაც მისი გასაკეთებელი იყო; მეფის შემდგომი კავიანი რუსეთი მიიღო, ატომურბომბიანი კი დატოვა. ჩერჩილზე ზუსტად და მოკლედ აქ ვერც იტყვი, ეხერხებოდა სერ უინსტონს სიტყვის მიგნება.

ოღონდ ბელადმა არ გააკეთა ან ვერ მოასწრო გაკეთება — არ დაუტოვა თვალუწვდენ და ტალანტებით მდიდარ ქვეყანას ღირსეული თავისი მემკვიდრე; არადა, კომპეტენტური მემკვიდრე ხომ გვერდით ჰყავდა — ბერია. სტალინი ამას ვერ მიხვდა, ლავრენტი პავლოვიჩი კი უიმისოდ განწირული იყო; და საბოლოოდ ქვეყანამ თავისი ბედი ჩააბარა გაქნილ, გონებაშეზღუდულ, უპრინციპო და უვიც ინტრიგანს; და განა მარტო მას — ნიკიტას ხომ, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვას, უმაღლეს ხელისუფლებაში მდგარს, გარემოცვა „თამაშობდა“. ისეთივე უკომპეტენტურო, როგორც ის, ხოლო თავის გარკვეულ ნაწილში — ანტისაბჭოთა და პროდასავლური.

ბერიას, როგორც სტალინის მემკვიდრის, ამოცანა უნდა გამხდარიყო და გახდებოდა კიდევაც საზოგადოების თანდათანობითი, მასების განვითარებით გამაგრებული დემოკრატიზაციის ამოცანა; ხალხის ყველა შემოქმედებითი ძალის განვითარების ამოცანა; გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში სრული უფლებების გადაცემა არა ნომენკლატურისთვის, არამედ ხალხისთვის; არა ფუნქციონერებისთვის, არამედ პროფესიონალებისთვის. ბერიასა და მის მემკვიდრეებს უნდა განემტკიცებინათ და განევითარებინათ სოციალიზმი (და შეეძლოთ კიდევაც ეს) და არა ეღალატათ მისთვის, როგორც ეს ქნეს ხრუშჩოვმა და მისმა მემკვიდრეებმა.

ბერიას შეეძლო სულ უფრო გაძლიერებადი და გაფურჩქვნადი საბჭოთა კავშირისთვის ხელმძღვანელობა ასე სამოცდახუთ-სამოცდაათ წლამდე, ანუ შეეძლო ქვეყნის სათავეში შეხვედროდა საბჭოური ხელისუფლების ორმოცდაათ წლისთავს; და ეს იქნებოდა სავსებით სხვა, რეალურად შემდგარისგან განსხვავებული ქვეყანა!

ვფიქრობ, რომ იმის საბჭოთა კავშირს არ ეყოლებოდა გარე მსოფლიოში „მუქთახორათა“ ისეთი უზარმაზარი რაოდენობა, როგორიც დააგროვეს ხრუშჩოვმა, მერე კი — ბრეჟნევმა. ბერიას საბჭოთა კავშირი არ მოწამლავდა საკუთარ სახელმწიფოებრივ ორგანიზმს ნავთობდოლარული ინექციებით. მის საბჭოთა კავშირში ვერ შეძლებდა ფორმირებას გორბაჩოველთა და ელცინოველთა „მეხუთე კოლონა“; და მის საბჭოთა კავშირში ყოველი უგერგილო ხელმძღვანელი კონსტიტუციის მიხედვით თავისი მუშაობისთვის საქალაქო კომიტეტის ბიუროს წინაშე კი არ აგებდა პასუხს, არამედ შრომითი კოლექტივისა, რომელსაც ექნებოდა უფლება დაებრუნებინა ამნაირი უქნარა ხელმძღვანელი „პირველყოფილ“, არახელმძღვანელ მდგომარეობაში.

აი, რა ვერ აპატიეს ბერიას, თუნდაც სხვადასხვა მიზეზის გამო, ხრუშჩოველმა- პარტოკრატებმა, ელცინოიდმა-„დემოკრატებმა“, გორბაჩოველებმა, მსოფლიო პლუტოკრატიამ და მსოფლიო არისტოკრატიამ — ვერც მის სიცოცხლეში, ვერც მით უფრო, მკვდარს.

ვერ აპატიეს ის, რომ ლავრენტი პავლოვიჩს შესწევდა უნარი, ხალხთან ერთად მიეყვანა რუსეთი იმგვარ დონემდე, როცა ხალხის ბედი დამოკიდებული იქნებოდა არა იმ ჯგუფზე, თავი რომ „ელიტად“ მიაჩნია, არამედ საზოგადოების მასობრივ, ინტელექტუალურად და სულიერად კომპეტენტურ ბირთვზე; როცა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა იქნებოდა არა „ცკ-ის კოლექტიური ჭკუა“, არამედ საზოგადოებრივი გონება...

ბერია გენიალური არ ყოფილა — როგორც ლენინი, როგორც სტალინი. ის იყო მხოლოდ ზეკომპეტენტური. სხვა რამეებთან ერთად, იგი ამანაც დაღუპა; და კიდევ ის დაღუპა მიამიტურმა რწმენამ ადამიანებში, კოლეგებში კეთილი საწყისისა. მას არანაირად არ მოუვიდოდა აზრად, რომ ოდენ შურით, ოდენ თავკერძობით შეიძლება ამხანაგს ასეთი შემზარავი ცილი დასწამო და ზურგში ხანჯალი ჩასცე.

სულ უფრო მზარდი და მზარდი ძალაუფლების ათწლეულებში თავიდანვე საზიზღარი და უნამუსო კაცი ორმოცდაათი წლის ასაკში საბოლოოდ გადაიქცეოდა დასრულებულ თავხედად და გულქვა არამზადად. ბერიას კი 1950 წელს, ვიცე-პრემიერის, პოლიტბიუროს წევრის, სპეცკომიტეტის მეთაურის რანგში, საბჭოთა კავშირის მარშლის წოდებით, შეეძლო ცხოვრებაში პირველად დანახული ფუნთუშალოყებიანი რუსი ჭაბუკისთვის, უბრალო სერჟანტისთვის უმალვე ეკითხა — რატომ გტკივა კბილებიო?..

არა, პატივცემულო მკითხველო, თქვენ როგორც გენებოთ, მაგრამ ასეთი კაცი არ შეიძლებოდა ცუდი ყოფილიყო!..

... ჩვენ ახლა, ძვირფასო მკითხველო, ერთი ერთზე ვრჩებით არა პარტოკრატიული რეჟიმის, არამედ ოლიგარქიულის საძაგლობასთან, რაც ასჯერ უფრო საზიზღარია და დამანგრეველი, ვიდრე პარტოკრატიული. პირისპირ ვრჩებით არა უბრალოდ თქვლეფას გადაყოლილი უკომპეტენტურობის რეჟიმის საძაგლობასთან როგორც ხრუშჩოვის, ბრეჟნევის, ანდროპოვისა და გორბაჩოვის დროს, არამედ მოზეიმე ზეუკომპეტენტურობის რეჟიმის საძაგლობასთან.

ერთი ერთზე ვრჩებით? ჯერჯერობით — კი...

თუმცა, ეგების დროა, როგორმე გაერთიანებისაც? გაერთიანებისა, რომ ერთად ჩამოვაყალიბოთ კომპეტენტური ინდივიდების კოლექტიური გონება; და მაშინ გავიგებთ, რომ მხოლოდ წინამორბედთა მიერ ნაკეთების სწორი შეფასებით, ჩვენ თვითონ ვხდებით საკუთარ, დროის გამოწვევებით განპირობებულ საქმეთა აღსრულების შემძლენი.

თარგმნა
**თამაზ ებანოიძე**

დასასრული იხ. სრ. № 138-152, 154-161, 163, 164

## ინფორმაცია

### რუსები აფხაზეთში ინტენსიურ წვრთნებს გადიან

**აფხაზეთში რუსეთის სამხედრო ბაზაზე საარტილერიო დანაყოფების ინტენსიური წვრთნა მიმდინარეობს . აფხაზური სააგენტო „აპსნი პრესის“ ინფორმაციით, სამხედროებს სროლაში ავარჯიშებენ. წვრთნები მცირე საარტილერიო პოლიგონზე მიმდინარეობს, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე იმიტაციური საშუალებებით და ქმნის საბრძოლო ვითარებასთან მაქსიმალურად მიახლოებულ გარემოს.**

**სამხედრო მოსამსახურეები მაღალმთიან გარემოსა და ტყეში ბრძოლისთვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს ეუფლებიან და აბარებენ ინდივიდუალურ ნორმატივებს გეოდეზიურ, მეტეოროლოგიურ და ბალისტიკურ მომზადებაში. სამხედროებს დაზვერვის წარმოებასა და მიზნის კოორდინატების განსაზღვრაშიც ამეცადინებენ. წვრთნები ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემის „გრადის“ მეშვეობით ტარდება.**

**ზაფხულის პერიოდში წვრთნების ხანგრძლივობა 800 სასწავლო საათს მოიცავს. სწავლების ფინალურ ეტაპზე კი რუსეთის სამხედრო ბაზის არტილერისტები საბრძოლო სროლაში ტაქტიკურ წვრთნებს გაივლიან, რომელიც კრასნოდარის მხარეში სექტემბრის დასაწყისში გაიმართება.**

### აფხაზეთში იარაღის სამალავები აღმოაჩინეს

**რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის სასაზღვრო უწყების თანამშრომლებმა ე.წ. „საქართველო-აფხაზეთის“ სასაზღვრო ზოლის პატრულირებისას იარაღის ოთხი სამალავი აღმოაჩინეს.**

**რუსული მედიის ინფორმაციით, სამალავებში ნაპოვნია ყუმბართმტყორცნები, სხვადასხვა სახის ტყვიაწამალი, მათ შორის 120 მმ კალიბრის საარტილერიო ჭურვი.**



**— იარაღი და ტყვიაწამალი განადგურებულია შესაბამისი წესდების საფუძველზე, — იუწყება აფსნიპრესი.**

**შეგახსენებთ, რომ ბოლოს, 22 მაისს, რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის სასაზღვრო უწყებამ ასევე გაავრცელა ინფორმაცია აფხაზეთის ტერიტორიაზე იარაღის სამალავის აღმოჩენის შესახებ.**

ინტერპრესი

**ჩოგბურთი**

# ანამ მეორე ბარიერიც დაძლია

**ქართველი ჩოგბურთელი ანა ტატიშვილი წარმატებით ასპარეზობს ამერიკის ღია პირველობაში. ერთეულთა თანრიგის პირველ წრეში, როგორც გაუწყეთ, ჩვენებურმა 31 წლის ფრანგი სტეფანი ფორეც-გაკონი დაამარცხა და მეორე წრეში მსოფლიო რეიტინგით 38-ე ადგილზე მყოფ სორანა კირსტეას (რუმინეთი) დაუპირისპირდა.** პირველ სეტში ქართველ ჩოგბურთელს მოგების შანსი ჰქონდა, მაგრამ ბოლო გეიმებში უპირატესობა ვერ გამოიყენა — 6:7 (ტაიბრეიკებში — 5:7). სამაგიეროდ, მეორე-მესამე სეტებში მეტოქეს წარმატების ყოველგვარი გზა გადაუკეტა და იოლად გაიმარჯვა — 6:1, 6:2, რითაც 160 სარეიტინგო ქულა და 65.000 დოლარი გამოიმუშავა. ტატიშვილი მე-3 წრეში 79-ე ადგილზე მყოფ (თავად რეიტინგში 73-ეა) ლუქსემბურგელ მენდი მინელას შეხვდება. წყვილებში ჩვენებური ბრიტანელ ანე კეოტავონგთან ერთად მე-4 ნომრად განთესილ მარია კირილენკოს და ნადია პეტროვას (რუსეთი) დუეტს დაუპირისპირდება.



როტერდამის (ჰოლანდია) 10.000-იან ქალთა ტურნირში მონაწილეობენ ეკატერინე გორგოძე და სოფიო ქვაცაბაია. გორგოძემ სტარტზე მასპინძელ ლისან ვან რიეტს მოუგო 6:1, 6:7, 6:4, ხოლო მე-3 ნომრად განთესილმა ქვაცაბაიამ შვედ მატილდა ჰამლინს აჯობა — 6:2, 6:4. მეორე წრეში ჩვენებურები ერთმანეთთან გაარკვევენ ურთიერთობას.

**გივი გაგუა**

**ჭადრაკი**



# სტამბოლი მშრალი ქალაქია

**სტამბოლში მიმდინარე მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის მეორე ტურში კვლავ წარმატებით ითამაშეს ქართველმა ქალებმა — ბელგიის ნაკრებს მშრალი ანგარიშით მოუგეს: ბელა ხოტენაშვილმა, ნინო ხურციძემ, ლელა ჯავახიშვილმა და ნინო ბაციაშვილმა, შესაბამისად, ანა ზოზულია, ჰანი გოოსენსი, ევა ბეკელანტი და ანა მარი მაკელბერგი დაამარცხეს. იმარჯვეს სხვა ფავორიტებმაც: შვედეთი — ჩინეთი 0:4, რუსეთი — ბრაზილია 3,5:0,5 (ევროპის ჩემპიონი ვალენტინა გუნინა ვანესა ფელიკანოს დაუზავდა), ესტონეთი — აშშ 0,5:3,5, ინდოეთი — ავსტრალია 3,5:0,5, ინდონეზია — ბულგარეთი 2:2, საფრანგეთი — ჩილე 4:0 (ფრანგთა მეორე დაფაზე ნინო მაისურაძემ დამარის გონსალეს აბარკას სძლია).**

საქართველოს ვაჟთა ნაკრებს, სამწუხაროდ, არ გაუმართლა — მეტოქედ შარშანდელი ევროპის ჩემპიონი გერმანიის ეროვნული გუნდი ჰყავდა. პირველ დაფაზე მიხეილ მჭედლიშვილმა არკადი ნაიდიჩთან წააგო. დანარჩენი სამი პარტია ყაიმით დასრულდა. დაზავდნენ: მერაბ გაგუნაშვილი — იგორ ხუნკინი, გეორგ მაიერი — თორნიკე სანიკიძე, ლევან ფანცულაია — დანიელ ფრიდმანი. ყატარი — უკრაინის მატჩი ამ უკანასკნელის გამარჯვებით დასრულდა 3:1. ეს ერთადერთი ქულა ბოლო ოლიმპიადის ჩემპიონისგან ვასილ ივანჩუკმა დაკარგა მოჰამედ ალმოდიახთან პარტიაში. მეწინავეთა დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: აშშ — ლიტვა 3,5:0,5, აზერბაიჯანი — ირლანდია 3,5:0,5, პერუ — საფრანგეთი 0,5:3,5, ინდოეთი — თურქეთი 3:1, საბერძნეთი — რუსეთი 1:3, ჩინეთი — იტალია 3,5:0,5, ინგლისი — ბრაზილია 2,5:1,5, სომხეთი — ბანგლადეში 4:0:

**ლაშა დიდია**

**ფეხბურთი**



# ტიტო არ არის ხოსეპი

**მადრიდის „რეალი“ და „ბარსელონა“ ესპანეთის სუპერთასისთვის აქამდე ექვსჯერ შეხვდნენ ერთმანეთს ორრაუნდიან დუელში და აქედან ხუთი „სამეფო კლუბის“ გამარჯვებით დასრულდა. ანალოგიური შედეგით დამთავრდა წლევანდელი სეზონის პირველი ჯილდოს გათამაშება, რაც, სხვათა შორის, კატალონიელთა ახალი თავკაცის ტიტო ვილანოვას სადებიუტო წარუმატებლობა გახდა.**

**„რეალი“ — „ბარსელონა“ 2:1**
**(პირველი მატჩი — 2:3)**
**გოლები:** იგუაინი, რონალდუ; მესი.

სარევანშო ბრძოლის ბედი პირველივე ტაიმში გადაწყდა, როცა მასპინძლებმა საწყის ოც წუთში ფსიქოლოგიურ ნოკდაუნში ჩააგდეს მრისხანე მეტოქე სწრაფი გოლებით და თანაც რიცხობრივ უმცირესობაში დატოვეს (მსაჯმა მინდვრიდან ადრიანო გააძევა).

**სანთელი**

# არჩილ ჩოხელი



41 წლის არჩილ ჩოხელი საქართველოს სამბისტთა ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად 4 თვის წინათ დაინიშნა. სახელოვან ჩოხოსანს ახალ ამპლუაშიც უნდა მოეტანა გულშემატკივართათვის დიდი სიხარული, მაგრამ არ დასცალდა — ლაფანყურის სპეცოპერაციისას სოლომონ წიკლაურთან და ვლადიმერ ხვედელიძესთან ერთად დაიღუპა.

დაიბადა 1971 წლის 23 მაისს მცხეთის რაიონის სოფელ გალავანში. იყო მსოფლიოს ჩემპიონი (1993წ), ორგზის მეორე (1994, 1997წ) და ექვსგზის მესამე (1992, 1996, 1998, 1999, 2000, 2002წ) პრიზიორი, მსოფლიოს თასის მფლობელი (1997წ) და მეორე პრიზიორი (1996წ), ევროპის ჩემპიონი (1998წ), მეორე (2001წ) და ექვსგზის მესამე (1993, 1994, 1997, 1999, 2000, 2002წ) პრიზიორი, ღირსების ორდენის კავალერი.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სპორტის რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულთა ოჯახებს.

**ოლიმპიური ჩემპიონი**

# მის კიმონოს ჯვარი სწერია

**თანასოფლელები ჭიდაობდნენ და 12 წლის ბიჭმაც მათს მაგალითს მიბაძა. გორში დაიწყო ძიუდოზე სიარული. ანზორ თენაძის და ნიკო ბიბილაშვილის ხელმძღვანელობით დაეუფლა კიმონოიანთა საიდუმლოს და დღესაც მათთან იმაღლებს ოსტატობას. კარალეთელ ყმაწვილს, რომელსაც მაგალითად შოთა ჩოჩიშვილი და შოთა ხაბარელი ჰყავდა, ბევრჯერ უოცნებია ოლიმპიურ ჩემპიონობაზე. სჯეროდა, რომ ღვთის შეწევნით ეს დღეც დადგებოდა, ამიტომაც მუხლჩაუხრელად შრომობდა და მწვრთნელების თითოეულ მითითებას პირნათლად ასრულებდა. სპორტისგან თავისუფალ დროს კი ბავშვობიდან დღემდე მშობლიური კარალეთის წმინდა სამების ეკლესიაში სტიქაროსნად მსახურობს. ლონდონის ოლიმპიადაზე გამარჯვებას კი უფლის წყალობად მიიჩნევს.**

— ტატამზე გასვლის წინ კიმონოს ჯვარს გარდავსახავ და ისე გავდივარ საჭიდაოდ, — გვითხრა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლაშა შავდათუაშვილმა. — დიდი ბრიტანეთის დედაქალაქშიც ასე იყო, ამიტომ ჩემს ჩემპიონობაში უფლის ხელი ურევია. დიდად ვემადლიერები მწვრთნელებს, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს, რომ ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავსულიყავი.

**— ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნე, რომ ოლიმპიურ ჩემპიონობაზე ბავშვობიდან ოცნებობდი, მაგრამ ლონდონში გამგზავრების წინ თუ ფიქრობდი, რომ მიზანს 20 წლის ასაკში მიაღწევდი?**

— ეროვნულ ნაკრებში ნახევარი წელიწადიც არ არის, რაც გადავედი, ამიტომ ძნელი იყო ამხელა შედეგზე ფიქრი, თუმცა შეუძლებელი არაფერი ყოფილა, რადგან უფრო ახალგაზრდა ძიუდოისტებიც გამხდარან ოლიმპიური ჩემპიონები. საკუთარი ძალებისა განსაკუთრებით მას შემდეგ ვირწმუნე, რაც მოკლე დროში ოლიმპიადის საგზური მოვიპოვე.

**— საჭიდაოდ მიმავალი საკმაოდ მშვიდად გამოიყურებოდი, ტატამზე კი ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდი მეტოქეებს...**

— მართლაც, ასე მშვიდად სხვა შეჯიბრებებზე არასდროს ვყოფილვარ. ალბათ, იმიტომ, რომ ჭიდაობის გარდა, არაფერზე ვფიქრობდი. არც იმაზე, რომ აუცილებლად მედალი ამელო, არც მეტოქეთა ტიტულებზე. ამიტომაც იყო, რომ ხუთი შეხვედრიდან ოთხი იპონით მოვიგე.

**— ყველაზე მეტად ვისთან გაგიჭირდა?**



— ფაქტობრივად, არავისთან. ყველაზე რთული ნახევარფინალური პაექრობაა. იქ თუ წააგებ, შესაძლოა, უმედლოდ დარჩე და მთელი ჯაფა წყალში ჩაგეყრება. ამიტომაც იაპონელ მსოფლიოს ჩემპიონ მასაში ებინუმასთან საჭიდაოდ უშიშრად გავედი. უწინ ტატამზე არასდროს შევხვედრივარ, თუმცა იაპონიაში საწვრთნელი შეკრებისას ერთ დარბაზში ვვარჯიშობდით. სპარინგობა არასდროს გამიწევია მისთვის. იპონით დავამარცხე. მხოლოდ ფინალური პაექრობა მოვიგე უნგრელ მიკლოშ უნგვარისთან იუკოთი. ბედნიერი ვარ, რომ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავედი და ჩემი ხალხი გავახარე.

**— რა შეიცვალა ჩემპიონის ცხოვრებაში?**

— ოლიმპიური ჩემპიონობის გემო საქართველოში დაბრუნების შემდეგ ვიგრძენი, იმდენი სიყვარული, იმდენი სითბო და გახარებული ადამიანები ვნახე. უფლება არ მაქვს, ამ ხალხს ვუღალატო. მეტი მუშაობა დამჭირდება, რადგან მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატები მაქვს მოსაგები. ჯერ თიაქრის ოპერაცია მაქვს გასაკეთებელი. მერე ვარჯიშებსაც განვაახლებ და ვეცდები, ქომაგები არ გავაწბილო.

**ლექსო ცინცაძე**

◉ გრძნობა, პატივი წინაპრისადმი

# დამარცხებული სიკვდილი

## ჯემალ ხაჭალია შთამომავლობაში განაგრძობს სიცოცხლეს



**ხვალ, 1 სექტემბერს, კიდევ ერთი ახალი ქართული ოჯახი შეიქმნება – ჩინებული ახალგაზრდა ლაშა ხაჭალია ჯვარს იწერს (დიახ, სამებაში!) ასევე ჩინებულ და მშვენიერ სოფიო ჩიკვილაძეზე. ისინი ახალი დროის მართლაც უჩვეულო ხანუმამ – კომპიუტერმა გააცნო ერთმანეთს, რაც აგრერიგად იღბლიანი გამოდგა როგორც ამ ახალგაზრდებისთვის, ისე ორი დიდებული ქართული გვარის – ხაჭალიებისა და ჩიკვილაძეების დასამოყვრებლად...**

სოფოსა და ლაშას ქორწილში ხვალ, ბუნებრივია, არაერთი სადღეგრძელო შეისმება, რომელთა შორის აუცილებლად იქნება წინაპრების სადღეგრძელო, ხოლო მარად დაუვიწყარ წინაპართა შორის ერთ-ერთ მთავარ სმურად შეისმება ლაშას ბაბუის, ცნობილი მეოცესაუკუნელი ქართველის ჯემალ ხაჭალიას ხსოვნის უკვდავების სმური, ანუ ძველქართულად იგივე სადღეგრძელო. ასე რომ, მართალია, უხილავად, მაგრამ ლაშასა და სოფოს ქორწილს უცილოდ დაესწრება ჯემალ ხაჭალიაც, რომლის კეთილი სული მუდამ ბედნიერების გზით ატარებს თავის ღირსეულ შთამომავალთ.

ბატონი ჯემალი ამ ათი წლის წინათ, 2002 წლის მაისში გარდაიცვალა 72 წლისა. უკურნებელმა სენმა იმსხვერპლა. მისი სიკვდილი მთელ საქართველოში გახმიანდა... ერთ-ერთ ნეკროლოგში კოლეგები წერდნენ: 1965 წლიდან საკუთარი მოწოდებითა და სურვილით სამუშაოდ გადავიდა შინაგან საქმეთა ორგანოებში. სადაც მან 26 წელი იმოღვაწა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის, სამხედრო და სამოქალაქო სამსახურში გამობრძმედილი ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცის ღრმა ისტორიული განათლება, ორგანიზატორული ნიჭი, ამოუწურავი ბრძოლისუნარიანობა და ოპერატიული ალღო განსაკუთრებით გამოჩნდა იმ წლებში, როცა ჯემალ ხაჭალია იყო თბილისის კალინინის რაიონის მილიციის განყოფილების უფროსის მოადგილე, შემდეგ კი სათავეში ედგა მცხეთისა და გარდაბნის რაიონის მილიციის განყოფილებებს. მისი ნაყოფიერი შრომა, თავდადება და მიღწეული შედეგები მრავალჯერ აღინიშნა მთავრობის ჯილდოებით, მადლობებითა და სხვა წახალისებებით.

სამი გამორჩეული ღირსება ახლდა ბატონ ჯემალ ხაჭალიას ცხოვრებასა და მოღვაწეობას: მაღალი პროფესიონალიზმი, შეუვალი პრინციპულობა და შეუზღალავ წესიერებასთან შერწყმული კაცთმოყვარეობა. ამ პრინციპებით აღზარდა მან ახალგაზრდა სამართალდამცველთა რამდენიმე თაობა და საკუთარი შვილები. ხოლო ერთ-ერთი მეგობარი ასე იგონებდა: ბატონ ჯემალს მისი სამეგობრო წრე აფასებდა არა მხოლოდ იმიტომ რომ, ის უაღრესად კეთილსინდისიერი მუშაკი და ერთგული მეგობარი იყო, არამედ იმიტომაც, რომ საზოგადოებრივი საქმიანობისა და პირადი ცხოვრების ურთიერთშეხამების საოცარი უნარი ჰქონდა, როგორი დატვირთულიც არ უნდა ყოფილიყო, მისგან არასოდეს გაგვიგია წუწუნი, რომ ოჯახს – ორ ვაჟიშვილს, მეუღლეს და მხცოვან მშობლებს მისი ყურადღება და თანადგომა სჭირდებოდა. ის ამას უხმაუროდ, ჩუმად და წყნარად აკეთებდა. რასაკვირველია, ყოველივე ამაში უდიდესი დამსახურება ჰქონდა მის ერთგულ მეუღლეს ქალბატონ ლეილას, რომელიც არათუ ოჯახს, არამედ ბატონი ჯემალის მთელ სამეგობროს არ აკლებდა სითბოსა და სიყვარულს.

ერთი სიტყვით, იყო კაცი ნაღდი, გულიანი, ერთგული, უზორტო და უღალატო. იყო კი არა, კვლავ არის თავის შვილებსა და შვილიშვილებში, კვლავაც იქნება ლაშასა და სოფოს პატარებში, რომელთა სისხლშიც ისევ და ისევ განაგრძობს სიცოცხლეს ეს სახელოვანი და სამაგალითო პაპერა, ანუ დიდი ბაბუა, პაპა – ჯემალ ხაჭალია, რომელმაც მართლაც რომ დაამარცხა სიკვდილი, რათა სამუდამოდ თავის შთამომავალთა გვერდით ამაყად ევლო უსასრულო მომავლისაკენ.

**ჯემალ ხაჭალიას ოჯახის მეგობრები**

◉ მარცხენა ფრონტი

# ცაციები ერთდროულად გონებისა და უგუნურების სასწაულების დამონსტრირებას ახდენენ

**მიმდინარე წლის 13 აგვისტოს საინტერესო იუბილე გაიმართა – მთელი მსოფლიოს ცაციებმა მეოცედ აღნიშნეს ცაციების საერთაშორისო დღე. თუ სტატისტიკას ვენდობით, ასეთები ჩვენს პლანეტაზე სულ ცოტა 15 პროცენტია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ყოველი მეშვიდე.**

**ოდესღაც მათ ძალიან უჭირდათ ცხოვრება. ევროპაში მარცხენახელობა ეშმაკის უტყუარ ნიშნად ითვლებოდა, ზოგჯერ კი ეს ერთი რამეც კი საკმარისი იყო განაჩენის გამოსატანად. რუსეთში ცრუმორწმუნე პეტრე პირველმა გამოსცა ბრძანებულება, რომლის თანახმადაც ქერათმიანებს, ბეცებს და ცაციებს სასამართლოებში მოწმეებად ყოფნა არ შეეძლოთ, ვინაიდან უფალს ასე სურსო. ამჟამად ასეთ უმსგავსობას ვეღარსად ნახავ. ცაციების აღრიცხვასაც აღარ აწარმოებენ სკოლებში. თუმცა, მათი არაჩვეულებრიობის სტერეოტიპები შემორჩენილია. ჩვენ გადავწყვიტეთ კაცობრიობის ისტორიაში სახელგანთქმული ცაციების მაგალითზე გვეჩვენებინა, რომ კვამლი მაინც უცეცხლოდ არ არსებობს.**

### ისააკ ნიუტონი
### „ცაციას ლოგიკა ისევე მიუწვდომელია, როგორც ქალისა“



ჩვენი მხრიდან დავუმატებდით – არა უბრალოდ ქალისა, არამედ კლასიკური ქერა ქალისა ანეკდოტიდან. ამას გვიჩვენებს სერ ისააკ ნიუტონის საქციელი. ცნობილია, რომ მას უყვარდა კატები, მაგრამ ვერ იტანდა, როდესაც ისინი ხელს უშლიდნენ მუშაობაში. ამიტომ კარს გაუკეთა ხვრელი, რომ კატას შეძლებოდა თავისუფლად შესულიყო და ესეირნა ოთახში. როდესაც მისმა საყვარელმა არსებამ სამი კნუტი შვა, ცაცია მეცნიერმა დიდი ხვრელის გვერდზე სამი პატარა ხვრელიც გააკეთა – ხომ გასაგებია, რომ დიდში კნუტები ვერ გაძვრებოდნენ!

### ერნესტო ჩე გევარა
### „ცაციები საშუალოდ მემარჯვენეებზე ნაკლებ ხანს ცოცხლობენ“



დაე თითოეულმა თავად გადაწყვიტოს – დაუჯეროს თუ არა სტატისტიკას. ვიღაცა ამბობს, რომ ცაციების სიცოცხლის ხანგრძლივობა მოკლეა 2 წლითო, ვიღაცა – 7 წლითო, სხვები კი ამტკიცებენ – მთელი 9 წლითო. სხვათა შორის, დამატებით ცნობილია, როგორც მინიმუმი, ერთი შემთხვევა, როდესაც მემარცხენეობამ სერიოზულად შეუმცირა სიცოცხლე მის პატრონს. ეს 1967 წელს ბოლივიაში მოხდა, სადაც რეინჯერები მეამბოხეების რაზმებზე ნადირობდნენ. მათ ზუსტად არ იცოდნენ, რომელ რაზმში იმყოფებოდა იმ დროის ყველაზე სახელგანთქმული რევოლუციონერი ჩე გევარა. მანამ, სანამ არ მიაქციეს ყურადღება იმას, თუ როგორ იყო გაჭრილი ზოგიერთი ბილიკი – „რაღაც არ ჰგავს ადამიანის ნამოქმედარს“. გამოძახებულმა ექსპერტმა დაადასტურა, რომ ტყის გაჭრა ასე შეუძლია მხოლოდ ცაციას. ესე იგი პირადად ჩეს.

### უინსტონ ჩერჩილი
### „ცაციამ შეიძლება მოულოდნელი ნიჭი გამოავლინოს“



ეს სრულად და დაადასტურა საადმირალოს პირველმა ლორდმა, ცნობილმა პოლიტიკოსმა და დიდი ბრიტანეთის ყოფილმა შინაგან საქმეთა მინისტრმა სერმა უინსტონ ჩერჩილმა. პირველ მსოფლიო ომში ბევრი წარუმატებლობის შემდეგ, უკვე ორმოცი წლისამ, ფუნჯს მოკიდა ხელი, შედეგმა ბევრი გააოგნა. პირველსავე ნამუშევრებმა, რომლებიც პარიზში გაიგზავნა ფსევდონიმით მსოფლიო გამოფენაზე მიიღო მაღალი შეფასება და კარგ ფულად გაიყიდა. მერე – კიდევ მეტი. აი, ხელოვნებათმცოდნეების აზრით: „მისი ნამუშევრების, როგორც მინიმუმი ერთ დუჟინს შეეძლო კონკურენცია გაეწია იმპრესიონისტების აღიარებული შედევრებისთვის“.

### ნიკოლაი ლესკოვი
### „ცაციები წინააღმდეგობრივები და მზაკვრები არიან“



„ყველაზე რუსმა რუს მწერალთა შორის“, ვინაც ტულელი ცაციის უკვდავი სახე შექმნა, ნიკოლაი ლესკოვმა დატოვა ასეთი ჩანაწერი თავის ყველაზე საინტერესო ნაწარმოებზე: „კიდევ რამდენიმე პირმა მიიჩნია, რომ ჩემს „თქმულებაში ცაციაზე“ ძნელია გაარჩიო სხვაობა სიკეთესა და ბოროტებას შორის, რომ ყოველთვის ვერ გაგიგია, ვინ ვნებს საქმეს და ვინ ეხმარება. ამას ჩემი ნატურის დაბადების ბოროტებას მიაწერდნენ, რომ მე თავად ცაცია ვარ“. სიმართლის წილი ამაში არის.გაიხსენეთ – ტულელმა ოსტატმა მართლაც როგორ გააოგნა ინგლისელი ოსტატები, როდესაც „მარტო მარცხენა ხელით“ ნალი დააჭედა მათ რწყილს, მაგრამ ხომ მანვე გააფუჭა იგი, ვინაიდან რწყილი ველარ დახტოდა.

### ალბერტ აინშტაინი
### „ცაციების სწავლა ძნელია“



ამ მტკიცებას დაეთანხმებოდა პატარა აინშტაინის ყველა მასწავლებელი, რომლებიც მტკიცედ იყვნენ დარწმუნებული, რომ „უფრო მეტ მუხრუჭს“ ვერ გამოძებნიდი. ის ძლივს ხსნიდა ყველაზე მარტივ ამოცანებსაც კი მათემატიკაში, ლაპარაკით კი ისე ნელა და დაბნეული ლაპარაკობდა, რომ აცოფებდა მასწავლებლებს. მომავალი გენიოსი სწავლისთვის დროებით თავის დანებებასაც აპირებდა. მაგრამ ხელმძღვანელობამ მას დაასწრო და გამოშვებამდე ერთი წლით ადრე შესთავაზა მას დაეტოვებინა გიმნაზია.

### ალექსანდრე მაკედონელი
### „ცაციას შეუძლია მონახოს არასტანდარტული გამოსავალი კრიტიკული სიტუაციიდან“



ყველაზე სახელგანთქმული დამპყრობელი რომ მხოლოდ ცაცია ყოფილიყო! მას ასევე სხვადასხვა ფერის თვალებიც ჰქონდა – წაბლისფერი და ცისფერი.

მთლიანად ეს დამაშინებელ შთაბეჭდილებას ახდენდა მის თანამებრძოლებზეც კი. მაგრამ ალექსანდრე იყო ლამის ერთადერთი დედამიწის დიდ მმართველთა შორის, რომელმაც შეძლო, მიეღო უდავო სარგებელი ცაციების „დეფექტისაგან“, თანაც მასობრივად. მაკედონიის მეფემ შექმნა ერთგვარი გვარდია – ცაცია ჯარისკაცთა ცალკე კორპუსი 700 კაცის შემადგენლობით. ბრძოლის კრიტიკულ მომენტში ისინი დარტყმას აყენებდნენ იქ, სადაც მტერი არაფრით ელოდა.

### აზრი

**მარია ბეზრუკიხი, პროფესორი, ასაკობრივი ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი:**

**– არ მინდა ვინმეს გუნება-განწყობილება გავუფუჭო, მაგრამ ყველა სტერეოტიპი მარცხენახელიანებზე მითია და მეტი არაფერი. ხაზგასმით აღვნიშნავ – ყველა. ადრე უბრალოდ ცაციებს მართლაც რაღაც ზიანის მომტანად და დემონის მსგავსადაც კი მიიჩნევდნენ, ახლა კი მათ მიაწერენ რაღაც განსაკუთრებულ თანდაყოლილ ნიჭსა და უნარს. მაგრამ მთელი პრაქტიკა, მთელი დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ცაციები არც უფრო ნიჭიერები და არც უფრო ზიანის მომტანები არიან, ვიდრე „მემარჯვენეები“. ცაციაობა – განვითარების ნორმის ვარიანტია. აი, ის კი, საიდან ჩნდება იგი, სხვა საკითხია. ჯერ კიდევ შედარებით ამ ცოტა ხნის წინათ მიაჩნდათ, რომ „მემარცხენეობა“ – გენეტიკური გადახრააო. აქტიურად ეძებდნენ გენს, რომელიც მასზე იქნებოდა პასუხისმგებელი, მაგრამ ვერ აღმოაჩინეს. მეორე მხრივ, არის სტატისტიკა, რომელიც გვიჩვენებს, რომ თუ ორივე მშობელი „მემარჯვენეა“, იმის ალბათობა, რომ მათი შვილი იქნება ცაცია, ძალიან, ძალიან მცირეა. თუ ერთ-ერთი მშობელი ცაციაა, ალბათობა იზრდება 15 პროცენტამდე, ხოლო თუ ორივე – 50 პროცენტამდე. ნებისმიერ შემთხვევაში ცაციობის წარმოქმნის ფენომენი საიდუმლოდ რჩება.**

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

**ოთარ ტურაბელიძე, გიორგი ლაშხი, ზაზა ასათიანი, დათო გრიგორაშვილი, ზურაბ წულუკიძე, თამაზ ყურაშვილი, სანდრო გორგასლიძე იუწყებიან უახლოესი მეგობრის**

**ბუბა ბერიძის**

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.**

---

**საქართველოს თეატრალური საზოგადოება მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა რეჟისორი**

**დავით ცისკარიშვილი**

**და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.**

◉ ინფორმაცია

### ამსტერდამის აეროპორტში მეორე მსოფლიო ომისდროინდელი ბომბი აღმოაჩინეს

**„შიპჰოლის“ საერთაშორისო აეროპორტის ნაწილი, მეორე მსოფლიოს ომისდროინდელი ბომბის აღმოჩენის გამო დახურეს.**

**ბომბი მუშებმა აღმოაჩინეს, რომლებიც ტერმინალთან ახლოს მიწისქვეშა სამუშაოებს ასრულებდნენ. ტერმინალი ევროპის შიდა ფრენებს ემსახურება. ადგილზე გამნაღმველები მივიდნენ. როგორც ადგილობრივი პრესა წერს, ამსტერდამის აეროპორტს მეორე მსოფლიო ომის დროს ნაცისტები იყენებდნენ და ის მოკავშირეთა მხრიდან არა ერთხელ დაბომბილა.**



რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77;
599 32-85-76.
გ. ახვლედიანის ქ. №19.

დედაქალაქი

# ახალი გვირაბი

თბილისში გაშლილი ურბანული მშენებლობების პარალელურად ინტენსიურად მიმდინარეობს ავტოსატრანსპორტო მოძრაობის მწყობრ სისტემაში მოყვანა.

ამ პროექტის განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფრაგმენტი გახდა მარშალ გელოვანის პროსპექტზე 95-მეტრიანი გვირაბის გახსნა, რამაც საბურთალოსა და დიღომს შორის მიმოსვლა მნიშვნელოვნად გააიოლა. საქმე ის არის, რომ გვირაბის ამოქმედებამ ალმაშენებლის ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე საგზაო შუქნიშნები „უფუნქციოდ“ დატოვა და ისინი საერთოდ გააუქმეს. სიახლემ დიდი შვება მისცა როგორც საზოგადოებრივი, ისე პირადი ავტოტრანსპორტის მძღოლებსა და მგზავრებს.

გარდა ფუნქციური დატვირთვისა, გვირაბი ესთეტიურად ძალიან მიმზიდველია მაღალხარისხიანი სამშენებლო მასალით მოპირკეთების, ასევე ლამაზი გარე განათების წყალობით.

ნინო ალექსანდრია

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.



დედამიწის ზურგზე

# ათი გასაოცარი ცოცხალი არსება

**ბოლო დროს მეცნიერებმა დედამიწის ცხოველთა სამყაროში რამდენიმე ახალი არსება აღმოაჩინეს. არიზონის შტატის უნივერსიტეტის ბაზაზე მომუშავე სახეობათა შემსწავლელი საერთაშორისო უნივერსიტეტის სპეციალისტებმა გასაოცარ არსებათა ნუსხა გამოაქვეყნეს, რომელთაგან უმრავლესობას შარშან მიაგნეს. საგულისხმოა, რომ მე-18 საუკუნის ბოლოდან მოყოლებული მეცნიერებმა ორი მილიონი ახალი არსება აღმოაჩინეს! მეტიც: სწავლულები ვარაუდობენ, რომ ახლო მომავალში კაცობრიობამ კიდევ 9 მილიონი „მეზობელი“ უნდა აღმოაჩინოს, რომელიც დედამიწაზე ჩვენს გვერდით ბინადრობს. ახლა კი 18 ათასი ახალი სახეობიდან, რომლებიც შარშან ნახეს პირველად, ათ ყველაზე ეგზოტიკურს წარმოგიდგენთ.**

### „მაიმუნი მაიკლი“, რომელიც წვიმაში ცხვირს აცემინებს

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მიანმას მაღალმთიანეთში ძალიან სასაცილო გიბონს მიაგნეს: წვიმის დროს იგი ცხვირს



აცემინებს: საქმე ისაა, რომ ცხვირის მაგივრად მას... მხლოდ ნესტოები აქვს, ამიტომ როცა წვიმა მოდის, წვეთები ცხვირში ჩასდის. წვიმის დროს ყოფის ოდნავ მაინც გასაიოლებლად მაიმუნი თავს მუხლებში რგავს, რა დროსაც გიბონი ნაკლებს აცემინებს.

დამახასიათებელი აპრეხილი ცხვირით ზოგიერთი მკვლევარი მიანმის გიბონს პოპ-მუსიკის მეფეს მაიკლ ჯექსონს ადარებს...

### მედუზა „ვაიმე, დედიკო!“

შხამიან მედუზას Ohboya დაარქვეს. ინგლისური წამოძახილი „Oh, Boy“ ჩვენებურ „ვაიმე, დედას“ ესადაგება. საქმე ისაა, რომ მედუზის საცეცების მიკარება ადამიანზე ძალიან მტკივნეულად მოქმედებს, მისი არსებობის არეალი კი კანარის კუნძულებიდან ერთ-ერთის, ბონეირის მახლობლადაა.

### 224-თათიანი „სოსისი“

ეს სახსარფეხიანი ცხოველი ძალიან ჰგავს პუტკუნა სოსისს. მაგრამ მეცნიერები მრავალფეხას ფეხთა რაოდენობამ გააოცა: 16 სანტიმეტრის სიგრძისა და 2 სანტიმეტრის დიამეტრის მქონე ცხოველის 56 რგოლიდან თითოეულს, თავისა და ანალური სეგმენტების გარდა, თათების ორ-ორი წყვილი აქვს. ამრიგად, ტანზანიაში აღმოჩენილ ამ არსებას 224 ფეხი აქვს!

### მოსიარულე კაქტუსი

ეს ექვსსანტიმეტრიანი უხერხემლო, რომელიც კაქტუსს მხოლოდ გარეგნულად ჰგავს, დედამიწაზე 520 მილიონი წლის წინათ გაჩნდა. იგი ფეხის 10 წყვილისა და 16 სახსრის მეშვეობით გადაადგილდება, რომლებიც ჯავშნითა და ეკლებით აქვს დაფარული, რომელთა ბოლოში ორ-ორი კლანჭია. იგი ჩინეთის სამხრეთ-დასავლეთში ნახეს.

### ჯოჯოხეთის ჭიაყელა

ამ ნახევარი მილიმეტრის სიგრძის ჭიაყელას „ჰალიცეფალობუს მეფისტო“ დაარქვეს. მას 1,3 კილომეტრის სიღრმეზე მიაგნეს, სადაც იგი საოცრად მაღალი წნევისა და ცელსიუსის 37 გრადუს ტემპერატურაზე თითქმის უჰაერო გარემოში არსებობს. ამ აღმოჩენას პალეონტოლოგიისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს – მისი მეშვეობით მეცნიერებმა იქნებ შეძლონ იმის დადგენა, შესაძლებელია თუ არა სხვა პლანეტების წიაღში ცოცხალი ორგანიზმების არსებობა.

**გარდა აღნიშნულებისა, ათი უცნაური სახეობის ნუსხაში ასევე მოხვდნენ:**

- ორქიდეა, რომელიც პაპუა-ახალ გვინეაში ხარობს და მხოლოდ ღამით ყვავის;
- კრაზანა „მოპიკირე ბომბდამშენი“, რომელიც წამის მეათედებში თავის კვერცხებს... ჭიანჭველებში დებს;
- სოკო, რომელსაც „ბობი – კვადრატული შარვალი“ შეარქვეს იმის გამო, რომ ყველაზე ძლიერი შეკუმშვის შემდეგაც კი თავის ფორმას არ კარგავს;
- ნეპალური ყაყაჩო, რომელიც 4 ათასი მეტრის სიმაღლეზე იზრდება;
- არაჩვეულებრივად ლამაზი ხასხასა ცისფერი ბალნიანი ტარანტული, რომელიც ბრაზილიაში აღმოაჩინეს.

თამარ გოგიაშვილი

ჩვენი პრესდაიჯესტი

## გუშინდელი გაზეთებიდან

### ემუქრება თუ არა ახალი კრიზისი უძრავი ქონების ბაზარს

უძრავი ქონების ბაზარი მორიგი კრიზისის საშიშროების წინაშე დგას. ზოგიერთი სამშენებლო კომპანიის წარმომადგენლის განცხადებით, ამ დროისთვის გაყიდვები ძირითადად შეაჩერეს. დროებით შეჩერდა მშენებლობებიც. სამშენებლო კომპანიები გაყიდვების ზრდას ელიან, თუმცა, ექსპერტთა შეფასებით ბაზარზე არსებული ვითარება არჩევნებზეა დამოკიდებული, არჩევნების შემდეგ როგორ წარიმართება ბაზარზე ტენდენცია, არჩევნები ბაზარს ოდნავ ასუსტებს, მაგრამ დიდი შანსია თუ არჩევნების შემდეგ ქვეყანაში სტაბილური მდგომარეობა შენარჩუნდა, ბაზრის მოთხოვნილებაც გაიზრდება და ბინის ფასებიც.

„რეზონანსი“.

### „ლაფანყურის სპეცოპერაცია სააკაშვილის დაგეგმილი სამხედრო პროვოკაციაა“

– აცხადებს ექსპერტ-პოლიტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი, – სააკაშვილისგან არაფერს არ გამოვრიცხავ საერთოდ. მისგან აბსოლუტურად ყველაფრისთვის მზად ვართ. ეს კაცი არის წერას აყოლილი, ყველაფერზე წამსვლელი, რაც კი შეიძლება უკულმართი და ბოროტება ადამიანის თავში დაიბადოს, ყველაფერი შეიძლება დაიბადოს სააკაშვილის თავში. არჩევნებამდე ერთი თვე დარჩა და ის ყველაფერს აკეთებს სიტუაციის ასარევად.

### ევროპამ სააკაშვილს ზურგი შეაქცია

ნაციონალები მიხვდნენ, რომ ევროპამ სააკაშვილს ზურგი შეაქცია, ამიტომ სააკაშვილი სკამის შენარჩუნებას ნებისმიერი მეთოდით ეცდება. ძალადობა მისგან მოულოდნელი არ იქნება, მთავარია, როგორ იმოქმედებს ოპოზიცია, ვინაიდან პროტესტი ადამიანის უფლებაა, რომელსაც ვერავინ წაართმევს.

„ახალი თაობა“.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
29 9-62-77; 599 32-85-76.

კადრი



ანეკდოტები

**მდივანი ქალი შეფთან შედის და კატეგორიული ტონით ეუბნება:**

**– ხვალიდან ხელფასს სამჯერ გამიზრდი და კვირაში მარტო სამ დღეს ვიმუშავებ.**

**– ეგ ვინ გითხრა, ჩემო კარგო? – ფრთხილად ჰკითხა შეფმა.**

**– გინეკოლოგმა და ჩემმა ადვოკატმა!**

* * *

**ჟურნალისტი ეკითხება ფერმერს:**

**– ბიძია, რამდენ ლიტრს იწველის ეს ძროხა.**

**– არც ერთს.**

**– მერე რად გინდათ მასეთი ძროხა, თუ არ იწველის?**

**– ეგ ხარია.**

* * *



**გურული ცოლს ირთავს. სასიდედრო პირობებს უყენებს:**

**– ჩემი ქალიშვილი მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდება შენი ცოლი, თუ სარეცხსაც შენ დარეცხავ, სახლსაც შენ დაალაგებ, საჭმელსაც შენ გააკეთებ.**

**– მერე, ერთადერთ ქალიშვილს მაგნაირ იდიოტს გაატან?**

* * *

**გურულს ეკითხებიან:**

**– უცხო ენა გესმის?**

**– მესმის, ძამა, მაგრამ ვერ ვგებულობ.**

* * *

**ორი მეგობარი საუბრობს:**

**– ამას წინათ მაგრად გადავრჩი, ცოლს კინაღამ საყვარლის სახელი დავუძახე. გადავწყვიტე, კატა ვიყიდო და საყვარლის სახელი დავარქვა.**

**– მაგრად მოგიფიქრებია, ხო იცი!**

**– ეგ კი კარგია, მაგრამ ერთი კვირის წინათ, ცოლმა ლეკვი მოიყვანა და კოტეს ეძახის.**

* * *

**მოსამართლე ეკითხება ბრალდებულს:**

**– ესე იგი, თქვენ აღიარებთ, რომ ტაფა თავში ჩაარტყით დაზარალებულ ქალბატონს.**

**– დიახ, ბატონო მოსამართლევ, ოღონდ ფეხები მანამდეც დაბრეცილი ჰქონდა.**

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორის მაგიერ
სპარტაკ ქობულია
299-62-77;
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24